



დღის-ღამის



უნივერსიტეტი

30
საქტაბარი,
სამშაბათი,
2014 წ., №11

წომერში



უნივერსიტეტს პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსება სჭირდება!

გვ. 2



მარინა ჩიტაშვილი: „2015 წელს აუცილებლად მოხდება სამეცნიერო ფონდის და კონკურსების რეორგანიზაცია“


გვ. 5



პროგრამის ხელახლა ამოქმედება თსუ-ში სამართლიანობის აღდგენა

გვ. 10

იუბილა



ვინ თარგმნა ასე შესანიშნავად?!

გვ. 12

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ ჩანართი



რექტორობის 1 წელი



გვესაუბრება თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ ჯავახია



გვ. 7-10 გვერდებზე

თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ ჯავახია საზოგადოებას მისი საქმიანობის 1 წლის ანბარიუს აზრებს

რა გაკეთდა? რა იგეგმება?

უჩიარდება თუ არა გაზგასამართი სადგურის მშენებლობა?

საკრუტატო აქცია თბილისის მერიასთან, სადაც თსუ-ის სტუდენტები ე.წ. მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე გაზგასამართი სადგურის მშენებლობას აპროტესტობდნენ, სტუდენტებისა და თბილისის მერის დავით ნარმანიას შეხვედრით დასრულდა. როგორც ბაიროკვა, გაზგასამართი სადგურის მშენებლობის პროექტი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ არის ინიცირებული და, ამდენად, სამინისტროს წარმომადგენლებსა და სტუდენტებს შორის მოლაპარაკებები თბილისის მერიის შუამდგომლობით გაგრძელდება.

გვ. 3 გვერდზე



ტსუ-ში 10 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოქმედებს

თამარ ღაღინაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად წარმატებით ასორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო, ასევე, მოკლე და გრძელვადიან სასერტიფიკატო პროგრამებს.

პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება მხოლოდ ზოგადი უნარების შედეგის ან ტესტების საფუძველზე. ეს პროგრამები ორიენტირებულია პრაქტიკული ცოდნის, უნარებისა და ლირებულუბების გამოუმუშავებაზე და სრულდება IV ან V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციისა და მისი დამადასტურებელი დიპლომის მიწოდებით. პროგრამა აერთიანებს კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელ სასწავლო კურსებს, მოდულებს.

IV საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს უნარი — შედამხედველობა გაუწიოს სხვათა საქმიანობას და აილოს გარკვეული პასუხისმგებლობა შესრულებული სამუშაოს შეფასებასა და გაუმჯობესებაზე.

V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია სხვების სამუშაოთა დაგეგმვა და ხელმძღვანელობა; ასევე, განხორციელებული სამუშაოს შეფასება და სრულყოფა. ამ საფეხურზე დაიშვებიან მხოლოდ ის აპლიკანტები, ვინც სწავლების IV საფეხური გაიარა.



19 სექტემბერს ტსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა თამარ ვეფხვაძემ დაინტერესებულ საზოგადოებას ტსუ-ში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები წარუდგინა. მისი თქმით, თითოეულმა პროგრამამ წარმატებით გაიარა აკრედიტაცია და აკრედიტაციის საბჭომ ისინი წლის საუკეთესო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებად აღიარა.

„ძირითადი პროგრამები ტურიზმის მიმართულებითაა, რასაც საქართველოს მიმართ უცხოელი მეგობრების ინტერესის ზრდა განაპირობებს. ტურიზმის განვითარება მნიშვნელოვანია ჩვენი

ქვეყნისთვის, ეს პროგრამები კი მალე კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების ფარგლებს იძლევა. აქ სერტიფიცირებული სპეციალისტი შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი და მოთხოვნადია.

ალსანიშნავია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები კონკრეტულად შედგება ორიენტირებული იგი ბლიც-რეჟიმში დასაქმების შესაძლებლობასაც იძლევა“, — განმარტა თამარ ვეფხვაძემ.

ტსუ-ში 10 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოქმედებს. მათ შორის არის:

ტურიზმის მენეჯმენტი (IV-V საფეხურები), რომელიც ტუ-

როპერატორის კვალიფიკაციის ანიჭებს. სწავლის დასრულების შემდეგ, მიღებული ცოდნითა და გამოუმუშავებული უნარ-ჩვევებით, კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს ტურისტულ კომპანიაში; აგრეთვე, იმუშაოს ინდივიდუალურადაც, როგორც ინდემნარმემ.

სასტუმრო და საკურორტო მენეჯმენტი (IV-V საფეხურები) სასტუმრო საქმის მწარმოებლის პროფესიულ კვალიფიკაციას ანიჭებს, რის შემდეგაც სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, იმუშაოს სხვადასხვა ტიპის სასტუმრო ობიექტებში. საქართველოში ტურიზმის განვითარება სახელმწიფო სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტია და, შესაბამისად, ამ პროგრამის კურსდამთავრებულს დასაქმების კარგი პერსპექტივა აქვთ.

მასაჟისტი პროგრამა (III საფეხური), რომლის მიზანია მოამზადოს სამედიცინო პერსონალი სამკურნალო, სპორტული და ჰიგიენური მასაჟის მიმართულებით.

კბილის სატექნიკო საქმე, მისანიჭებული კვალიფიკაციით — კბილის ტექნიკოსი. აღნიშნულ პროგრამას მალე ექნება საკუთარი სასწავლო ბაზა და სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან ყველა საჭირო ინვენტარით.

კინო-ტელე რეჟისორის (IV-V საფეხურები) პროგრამა კინო-ტელე რეჟისორის კვალიფიკაციას ანიჭებს. პროგრამა

სტუდენტს შედარებით მოკლე დროში აძლევს ცოდნას, პრაქტიკულ გამოცდილებასა და ტექნიკურ უნარ-ჩვევებს, რომელიც მას გამოადგება კინო-ტელე რეჟისორის სფეროში მუშაობისთვის. ეს პროგრამა უკვე 20 წელიწადია ტსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე არსებობს და წარმატებით ამზადებს კონკურენტუნარიან კადრებს.

ტანსაცმლის დიზაინის პროგრამა (IV-V საფეხურები) სპეციალისტს ამზადებს სამოდელო სახლებთან და მსუბუქი მრეწველობის სანარმოებთან თანამშრომლობისთვის და, ამავ დროს, ინდივიდუალური მუშაობის შესაძლებლობასაც სთავაზობს.

როგორც ტსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ ნატალია ბარათელაძემ აღნიშნა, სამომავლოდ კიდევ რამდენიმე პროგრამის განხორციელება იგეგმება.

2014-2015 სასწავლო წელს მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა 416-ია. განაცხადი შეიძლება წარმოადგინოს როგორც საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა, ასევე, ბაკალავრიატის სტუდენტმა და ყველა მსურველმა, ვინც მზად არის ზემოთ ჩამოთვლილი პროფესიების დასაუფლებლად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ამ ეტაპზე სახელმწიფოს მიერ 100%-ით ფინანსდება.

უნივერსიტეტს პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსება სჭირდება!

ტსუ-ის ხელმძღვანელობა საქართველოს პარლამენტში ქვეყნის მთავარი საფინანსო გეგმის — 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის დანერგვას ელოდება, რათა გაირკვეს, გაითვალისწინა თუ არა მთავრობამ სახელმწიფო უნივერსიტეტების მოთხოვნა მათთვის პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსების გამოყოფის თაობაზე. როგორც რექტორმა, აკადემიკოსმა ლადო პაპავამ პრესკონფერენციაზე მონაწილე უნივერსიტეტის განუმარტა, განათლების ხარისხის გაზრდაზე ორიენტირებული სასიკეთო ცვლილებები უნივერსიტეტში ვერ განხორციელდება, თუკი სახელმწიფოს მხრიდან ნულთან დახმარების სტრატეგია კვლავ შენარჩუნდება.



თქმით, უნივერსიტეტის თითოეული ფაკულტეტი სხვადასხვა მიდგომას მოითხოვს, რადგან ყველა ერთნაირად ხარჯიანი არ არის. ამიტომაც სტუდენტების მიერ მოტანილი ფული ზოგიერთ ფაკულტეტს ჰყოფნის, ზოგს კი ნაკლებად. აქედან მომდინარეობს სწორედ პროფესორებს შორის ხელფასების დიფერენციაციის მახინჯი სისტემის დანერგვა. „მე ვერ მივიღებ გადაწყვეტილებას, რომ მალე ანაზღაურებად პროფესორს ნაწილობრივ ხელფასი და მივცე დაბალ ანაზღაურებად. ნამდვილად არ ვარ „კაკო ყაჩაღი“, რომ მდიდარს ვართმევდე და ღარიბს ვაძლევდე, მით უფრო, რომ არც ის პროფესორები, რომლებსაც მაღალი ხელფასები აქვთ, მდიდართა კატეგორიას არ მიეკუთვნებიან. ამიტომ ერთ-ერთი უმწვევავესი თემა, რომელსაც პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსების მიღების შემთხვევაში გადაწყვეტთ, იქნება ის, რომ ეს თანხა წარმართოს ხელფასების დარეგულირებაზე, რათა ფაკულტეტებზე პროფესორების ხელფასი, მეტწილად, გამოთანაბრდეს. ასეთივე მწვევა პრობლემაა ჩვენთვის უნივერსიტეტის კორპუსები (პირველი კორპუსის გარდა, რომელიც ბ-ნმა ბიძინა ივანიშვილმა გაარეგულა), რომელთა მდგომარეობაც საკვალაოა. ჩვენ ჩვენი მწირო რესურსით ვცდილობთ კორპუსების გარემონტებას, მაგრამ ის სივრცე, რომელიც ამ კორპუსებშია, ნამდვილად არ არის ადეკვატური ჩვენს

შესაძლებლობებთან მიმართებაში. დაფინანსების მიღების შემთხვევაში, წარმომადგენლობით საბჭოზე ერთერთ პირველ საკითხად სწორედ ამ სივრცის გარემონტების თემა წამოეჭრით“, — ასე უპასუხა რექტორმა ლადო პაპავამ უნივერსიტეტის დასრულებულ სტუდენტებს, თუკი უნივერსიტეტი მას რეალურად მიიღებს.

პრობლემა, რომელიც უნივერსიტეტისთვის აქტუალურობას არ ჰკარგავს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის, როგორც ჩანს, თავსატეხი გახდა. როგორც განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, იგეგმება უნივერსიტეტების განვითარების ფონდის შექმნა.

„2015 წლის ბიუჯეტში ჩვენ ვაპირებთ გავაჩინოთ უნივერსიტეტების განვითარების ფონდის შესახებ პუნქტი. ამ ფონდის ხარჯვა წარმართება სწორედ უნივერსიტეტების მიერ მონაწილე უნივერსიტეტის განვითარების გეგმის“ მიხედვით. ეს ძალიან დაეხმარება ჩვენს უნივერსიტეტებს. მთავარია, მათ უფრო ქმედითი და უფრო კონკრეტული გახადონ თავიანთი ხედვა, რათა გამოჩნდეს, რა ნაწილი სჭირდებათ სახელმწიფოს დაფინანსება და მხარდაჭერა. ეს ფონდი იქნება მანამ, სანამ საბოლოოდ არ ჩამოვყალიბდებით — როგორი უნდა იყოს უნივერსიტეტების დაფინანსება.

ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში ჩვენ ამჟამად განვიხილავთ ტსუ-ის III კორპუსის რეაბილიტაციის პროექტს. არის კონკრეტული საკითხები, რომლის განმარტებაც მოვითხოვეთ და, რამდენადაც ვიცო, პასუხებიც მივიღებ. ჩვენი ინფრასტრუქტურის სააგენტო, რომელიც ამ საკითხებზე მუშაობს, საბოლოოდ დადებს დასკვნას და მას შემდეგ განისაზღვრება — რა რესურსით დაგეგმარებით ამ პროექტს“, — განაცხადა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ.

გზავნილი აღმინისტრაციას

რატომთან შეხვედრის შემთხვევაში რა საკითხს ნამოწვთ?

ქეთევან ხუციშვილი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი:

- ყველაზე მეტად, როგორც უნივერსიტეტის პროფესორს და ლექტორს, კომუნიკაციის ნაკლებობა მანუხებს. ვგულისხმობ იმას, რომ შეფერხებით მოგვეწოდება ინფორმაცია უნივერსიტეტი მიმდინარე ღონისძიებებისა და პროექტების შესახებ. ტსუ-ის სხვადასხვა სასწავლო კორპუსში ხშირად ტარდება საინტერესო კონფერენციები და შეხვედრები, რის შესახებაც ან საერთოდ ვერ ვიგებთ, ან გვიან მოდის ინფორმაცია. ვფიქრობ, მეტი საშუალებების გამოყენება საჭირო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ინფორმირებისთვის, მით უფრო იმ ფონზე, როცა სამეცნიერო პროექტები თანდათან ინტერდისციპლინური ხდება და საჭიროა მასში ჩაერთონ სხვადასხვა ფაკულტეტის წარმომადგენლებიც. მაგალითად, ჩვენთან ტარდება სამეცნიერო კონფერენცია, რომლის შესახებაც გამოავაცხადეთ და ინფორმაცია დაიდო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, მაგრამ მისი პოვნა მეც კი გამოიჭირდა. ეს არ არის უბრალოდ შენიშვნა, რადგან მხოლოდ ჩვენი ფაკულტეტის მასშტაბით გამართული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია, რასაც დეკანატიდან ვიღებთ, აღარ არის საკმარისი, საჭიროა ვიცოდეთ, რაზე მუშაობენ სხვა სამეცნიერო ინსტიტუტები, ამიტომ ფაკულტეტების ვებ-გვერდებზე გამართულად უნდა მუშაობდეს.
- მეორე საკითხი, რაც გვანუხებს, ესაა პროფესორებისთვის არასათანადო საშუალო პირობების არსებობა. ის ფართი, რაც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორებს გვაქვს გამოყოფილი, არ არის მოსახერხებელი მუშაობისთვის. ჩვენი ინსტიტუტის საერთაშორისო კონტაქტების გათვალისწინებით, ხშირად გვყავს უცხოელი სტუმრები, რომლებთანაც ერთობლივ პროექტებს ვახორციელებთ. მოდიან არა მხოლოდ პროფესორები, არამედ მრავალრიცხოვანი ჯგუფები, რომლებშიც სტუდენტებიც შედიან და მათი მიღება და შეხვედრებისთვის ადგილის გამოწახვა გაძნელებულია. უდავოა, რომ უნივერსიტეტში პროცესები ნელ-ნელა ლაგდება და ბოლო დროს ბევრი რამ მოწესრიგდა, მაგრამ თუ ზემოთ აღნიშნულ საკითხებსაც მიექცევა ყურადღება, სწავლება და სამეცნიერო მუშაობა მეტად გაადვილდება.



შეჩერდება თუ არა გაზგასამართი სადგურის მშენებლობა?

პირველი გვერდიდან

სტუდენტური პროტესტი თბილისის მერიასთან 23 სექტემბერს დაიწყო. ახალგაზრდები თბილისის მერიას მალღივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე დაპირებული ახალგაზრდული ცენტრის მშენებლობის დაწყებას და გაზგასამართი სადგურის მშენებლობის შეჩერებას სთხოვდნენ. სტუდენტებმა მოთხოვნები და საკუთარი შეხედულებები აქციაზე გამოტანილი პლაკატებით გამოამზიერეს — „გაზზე გადაყვანილი სტუდენტობა“, „ჩვენ არ დავთმობთ“, „დაიცავი თსუ“, „იყავით სოლიდარულნი“, „თქვენი დახმარება სჭირდება უნივერსიტეტს“, „განათლება ბიზნეს-ინტერესებზე მალა“. თსუ-ის სტუდენტებს რამდენიმე ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციაც შეუერთდა, მათ შორის „ახალგაზრდა მწვანეები“ და „სამართლის თაობა“. აქციაზე ასევე იმყოფებოდა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი თემურ ბერიძე.

„მალღივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობები არ ექვემდებარება ქალაქის ლოგიკურ განვითარებას — ერთი მხრიდან სასაფლაო, მეორე მხრიდან კი გაზგასამართი სადგური. ჩვენი ერთადერთი მოთ-

ხოვნა მშენებლობის შეჩერებაა. სპეციალურად აღვნიშნავთ, რომ ეს აქცია არ არის დაკავშირებული არანაირ პოლიტიკურ პარტიასთან“, — აღნიშნა აქციაზე თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა, სტუდენტური საინიციატივო ჯგუფის „სოლიდარობა“ წევრმა ირაკლი კუპრაძემ.

„ორი სასწავლო კორპუსი, საქართველოში ერთ-ერთი უდიდესი ბიბლიოთეკა, საგამოცდო ცენტრი, სადაც ყოველ თვე 20 000 სტუდენტი აბარებს გამოცდას და მომავალში ასაშენებელი მეცნიერთა და სტუდენტთა სახლი — მათ გვერდით გაზგასამართი სადგურის მშენებლობა არც ერთი ქალაქის განვითარების ლოგიკას არ ექვემდებარება.

აქამდე მალღივის ტერიტორიაზე ერთერთ ორგანიზაციას სურდა გაეკეთებინა სასაფლაო. ბატონი ნარმანიას მონაწილეობით ეს სასაფლაო იქ აღარ შენდება, ინვესტორს ალტერნატიული ფართი გამოუყვეს, მაგრამ მე იმის თქმა მინდა, რომ პრეცედენტი უკვე არსებობს და შესაძლებელია ეს კიდევ განმეორდეს. ახლა უკვე, როდესაც გაზგასამართი სადგურის მშენებლობაზე ვლაპარაკობთ, საქმე ეხება უსაფრთხოების ნორმებსაც... ყველას გვახსოვს, რომ სულ რამდენიმე თვის წინ გლდანში ბენზინ-გა-



სამართი სადგური აფეთქდა. იურიდიული მხარე გასათვალისწინებელია, მაგრამ მუნიციპალურმა საზოგადოებამ მსგავსი გადაწყვეტილებების მიღებისას საუნივერსიტეტო საზოგადოების მოთხოვნ-

ებთან, მინის ნაკვეთი საკმარის მანძილთან დაშორებული საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებიდანაც. თავად პროექტი შედგენილია უსაფრთხოებისა და ყველა სხვა ტექნიკური მოთხოვნის

ითვალისწინებულს. ჩვენ ამ ტერიტორიის განვითარებაზე ვზრუნავთ, თუმცა, მეორე მხრივ, ბიზნეს-ინტერესებიც გასათვალისწინებელია. ინვესტიციებისა და ეკონომიკური წინსვლის გარეშე ქალაქი ვერ



ალლუდა გოგოლიძე და დავით ნარმანია



თსუ-ის რექტორის განცხადება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კუთვნილი ქონების გასხვისებამ და უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებთან შეუფერებელი და მიუღებელი საქმიანობის წამოწყებამ, სამწუხაროდ, ტრადიციული სახე მიიღო.

ჩვენი პირველი მიმართვა მთავრობას და საზოგადოებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ინტეგრირებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ქონების გასხვისების შესაძლებლობას ეხებოდა, შემდეგ უნივერსიტეტის ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მომიჯნავედ არსებული მიწის ნაკვეთის გასხვისებაზე და ამ ტერიტორიაზე სასაფლაოს გაშენების პერსპექტივაზე გავაკეთეთ განცხადება. ამჯერად, როგორც ირკვევა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მალღივი კორპუსის მიმდებარე, სადაც ორი სასწავლო კორპუსის გარდა, განთავსებულია ბიბლიოთეკა და უახლოეს პერიოდში სტუდენტთა და მეცნიერთა სახლის აშენება იგეგმება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის თავმოყრის ადგილას გაზგასამართი სადგურის მშენებლობა დაიწყო. გარდა იმისა,

რომ ეს გადაწყვეტილება პირდაპირ უკავშირდება ახალგაზრდების უსაფრთხოების ზომების უგულვებელყოფას, აფერხებს საუნივერსიტეტო სივრცის განვითარების შესაძლო პროექტებს, ასევე იგნორირებულია უახლოეს წარსულში გამოცხადებული არაერთი საინტერესო ინიციატივა, მათ შორის, ახალგაზრდული ცენტრის, კვების ობიექტების მშენებლობაზე, რაც სტუდენტობისთვის განსაკუთრებულ საჭიროებას წარმოადგენდა. სამწუხაროდ, სამთავრობო სტრუქტურებმა ეს ინიციატივა შეცვალეს და დღეს სახეზე გვაქვს ავტორიტარული პერსონის გაზგასამართი სადგურის მშენებლობის გადაწყვეტილება.

მივმართავთ საქართველოს მთავრობას, ქ. თბილისის საკრებულოს და დედაქალაქის მერიას, მაქსიმალურად გამოიყენონ მათ ხელთ არსებული, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილებები, რათა არ მოხდეს უნივერსიტეტის, საუნივერსიტეტო საზოგადოების, სტუდენტების ინტერესების უგულვებელყოფა.

ვლადიმერ პაპავა,
თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი
17.09.2014

ნებიც უნდა განიხილოს“, — განაცხადა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტმა ლევან ლორთქიფანიძემ.

სტუდენტებმა აქციაზე დავით ნარმანიასთან შეხვედრაც მოითხოვეს, რაც თბილისის მერის მხრიდან დაკმაყოფილდა. შეხვედრაზე თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები ირაკლი კუპრაძე და თათია რუსია, ასევე მაგისტრანტები ლევან ლორთქიფანიძე და ლევან მეტრეველი შევიდნენ. პარალელურად გავრცელდა თბილისის მერიის სპეციალური განცხადება, რომელშიც გაზგასამართი სადგურის მშენებლობის დაწყების საფუძველსა და ამ ტერიტორიის გასხვისების დეტალებზე საუბარი: „ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ“ აღნიშნული ქონება პირობებიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით 2013 წლის 15 ოქტომბერს 1,02 მილიონ ლარად გაასხვისა. ამავდროულად კომპანიას 1,5 მილიონი ლარის ინვესტიციის განხორციელების ვალდებულება აქვს აღებული. გვინდა განვაცხადოთ, რომ აღნიშნული ტერიტორია არ ეკუთვნის და არც არასდროს ეკუთვნოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. თავად ტერიტორია მდებარეობს თსუ-ის კუთვნილი შენობიდან (მალღივი კორპუსიდან) მინიმუმ 400 მეტრის და-

სრული დაცივით. მკაფიოდ ვაცხადებთ, რომ გაზგასამართი სადგური არავითარ პრობლემას არ შეუქმნის სხვა ობიექტების ფუნქციონირებას, მათ შორის არც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და არც ახალგაზრდული ცენტრის მშენებლობის პროექტს“.

რაც შეეხება უშუალოდ სტუდენტებისა და თბილისის მერის შეხვედრას — მოლაპარაკებები ორივე მხარის მიერ ნაყოფიერად შეფასდა.

„გაზგასამართ სადგურსა და მალღივის კორპუსს შორის საკმარის მანძილზეა, სადაც ჩვენ ახალგაზრდული ცენტრის აშენებას გვეგეგმავთ. ეკონომიკის სამინისტროს უკვე მივმართეთ ამ ტერიტორიის გადმოცემის თაობაზე. გაზგასამართი სადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით კი ვერავითარ საფრთხეს ვერ ვხედავთ, თუმცა მაინც შევთანხმდით სტუდენტებთან, რომ სამუშაო შეხვედრა მოწყობა და ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლებისგან მიიღებენ ინფორმაციას — რა პროექტსა და რა მოცულობის ინვესტიციასა და საუბარში... თბილისის მერიიდან ამ პროცესში მერის მოადგილე ალუდა გოგოლიძე მიიღებს მონაწილეობას. აქვე დავძენ, რომ მალღივის ტერიტორიაზე ვინც 180 000 ლარის ღირებულების პროექტს, რაც გზის რეაბილიტაციას და მოედნის გაკეთებას

განვითარდება. საჭიროა „ოქროს შუალედის“ პოვნა“, — განაცხადა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ.

„დიდი მადლობა ბატონ მერს, რომ ოპერატიულად მოახერხა ჩვენთან შეხვედრა, რომელიც საინტერესო და შედეგზე ორიენტირებული იყო. ვფიქრობ, მომავალში კიდევ რამდენიმე შეხვედრა იქნება ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლების მონაწილეობით. იმედია, ეს საკითხი სტუდენტებისთვის დადებითად გადაიჭრება“, — აღნიშნა თსუ-ის მაგისტრანტმა ლევან მეტრეველმა.

თსუ-ის სტუდენტებისა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლების დაგეგმილ შეხვედრაში სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე რატი ბრეგაძეც ჩაერთვება. ჯერჯერობით უცნობია შეხვედრის გამართვის კონკრეტული დრო, თუმცა ცნობილია სტუდენტების გეგმები. იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტის ირაკლი კუპრაძის ინფორმაციით, იმ შემთხვევაში, თუ თსუ-ის ე.წ. მალღივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე გაზგასამართი სადგურის მშენებლობა მაინც გაგრძელდება, ახალგაზრდები საპროტესტო აქციებს პერმანენტულად გამართავენ.

მომზადდა ნატო მობლაქძე



„მეცნიერება — ეს არ არის ფუფუნება“ — აი, რისი გააზრების დეფიციტი გვაქვს

15 სექტემბერს რადიო „თავისუფლება“ რუბრიკაში — „ინტერაქტიული დიალოგი“, მიწვეული ვაქვალა სპეციალისტის უნივერსიტეტის პროფესორი ზაალ კოქანი. სტუმარს უპრინციპულია ანთიპა სსაშობრა თემაზე: „მეცნიერების რეფორმა საქართველოში“. გთავაზობთ ინტერვიუს საბაზეთო ვერსიას.

იანთაქი: ბატონო ზაალ, როგორ განმარტავთ მეცნიერების რეფორმას. რა უნდა მოხდეს საქართველოში ისეთი, რომ თქვენ თქვათ: „დიახ, ეს არის მეცნიერების რეფორმა“?

ზაალ კოქანი: მეცნიერების რეფორმის განხორციელებისთვის პირველ ეტაპზე ორი ძირითადი პირობა უნდა დაკმაყოფილდეს. პირველი — მოხდეს იმ მიმართულებების იდენტიფიცირება, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი და სტრატეგიულია ქვეყნისთვის. საქართველო პატარა ქვეყანაა და ძელი იქნება მეცნიერების ყველა დარგის საერთაშორისო დონეზე განვითარება. ამიტომ ობიექტურად, გარე რეფერირების მეთოდით, სპეციალისტების მიერ საკითხის შესწავლის შემდეგ, უნდა გამოიკვეთოს ის პირობები, რომელიც ქვეყანაში უნდა განვითარდეს. მეორე — ჩემი აზრით, უნდა გამოიკვეთოს ადამიანური და ინტელექტუალური რესურსები, რომელსაც კიდევ აქვს შენარჩუნებული პოტენციალი, რომ განვითარდეს და შექმნას ლიბერული საერთაშორისო დონის სამეცნიერო კვლევები. ვფიქრობ, აქაც გარე რეფერირებისა და შერჩევის გზა უნდა გამოვიყენოთ. ეს არის საბაზისო კომპონენტები, რომლის განხორციელების შემდეგაც შეიძლება ვთქვათ, რომ რეფორმას ბიძგი მიეცა და საქართველოში მეცნიერების კუთხით ძვრები დაიწყო.

იანთაქი: შესაძლებელია თუ არა ჩამოვთვალოთ, რა სახის რესურსები არის საჭირო მეცნიერების რეფორმისთვის და მათთან ყველაზე დეფიციტურად

რა მიგაჩნიათ საქართველოს რეალობაში?

ზაალ კოქანი: მეცნიერებას, რა თქმა უნდა, სჭირდება დაფინანსება, რომელიც სახელმწიფომ უნდა გაილოს. ეს არის აუცილებელი. სავარაუდოდ, საქართველოში ამ მიზნით შიდა პროდუქტის 0,2 პროცენტია გამოყოფილი, მაშინ, როდესაც განვითარებულ ქვეყნებში, მაგალითად, ევროპის კავშირში, საშუალოდ 2 პროცენტია (ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ფინეთში კი ეს თანხა 3,5-4 პროცენტს აღწევს). სწორედ ეს ქვეყნებია, რომლებიც მეცნიერებაში წარმატებულები არიან. თუ ინვესტირება არ მოხდა, ძალიან ძნელი იქნება რაიმეს განვითარება.

საქართველოში ყველაზე მეტად არის იმის გააზრების დეფიციტი, რომ მეცნიერება ეს არ არის ფუფუნება და არ არის მხოლოდ მდიდარი ქვეყნების ხვედრი. მეცნიერება — არის ქვეყნის განვითარების აუცილებელი კომპონენტი.


იანთაქი: ჩვენმა სახელმწიფომ, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის სახით, თავის თავზე მძიმე სოციალური ტვირთი აიღო. როგორ ფიქრობთ, არის თუ არა შესაძლებელი, ეფექტურად და ერთდროულად დაინერგოს დიდი სოციალური პროექტები და ქვეყნის განვითარების პროექტები? თუ ეს შესაძლებელია, როგორ უნდა იყოს რეალიზაცია?

ზაალ კოქანი: რა თქმა უნდა, სოციალური პროექტები ძალიან მნიშვნელოვანია და უნდა განხორციელდეს, მაგრამ საკითხის ასე დასმა, რომ ჯერ სოციალური პროექტები განხორციელდეს და

მერე — დანარჩენი, არასწორია. მიმაჩნია, რომ ეს უნდა მოხდეს პარალელურ რეჟიმში. მეცნიერების განვითარების და დაფინანსების გადადება დამლუპველია, რადგან ეს გრძელვადიანი ინვესტირებაა, რომელსაც ათწლეულები სჭირდება და ყოველი გადადებული წლით ჩვენ ვაგვიანებთ განვითარებას. ჩემი აზრით, უნდა მოხდეს რესურსების გადანაწილება.

იანთაქი: საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა რომ ძალიან პუმანური პროექტია, ყველა ვთანხმდებით, მაგრამ განათლების სისტემაში ველარ ხერხდება ვერანაირი ინვესტიცია. განვითარების პროექტები ძალიან მწირია, რადგანაც მთელი ფული ამ პუმანურ პროექტში მიდის...

ზაალ კოქანი: ასე ჩახედული არ ვარ ფინანსურ საკითხებში, მაგრამ გეტყვით, რომ რამდენიმე თვის წინ, ჩემს ფინელ კოლეგებთან მქონდა დისკუსია ქვეყნის და მეცნიერების განვითარებაზე და მათ მიზნებს, რომ ახლო ისტორიაში ყველაზე პოპულარული პრემიერ-მინისტრი მათ ქვეყანაში არის ის, რომელმაც კრიზისის პირობებში უდიდესი ინვესტირება გააკეთა მეცნიერების და განათლების დარგში. მაშინ ეს ძალიან არაპოპულარული ნაბიჯი იყო, მაგრამ დღეს ამ პრემიერ-მინისტრის სახელი ყველას ახსოვს და სხვა პრემიერები, რომლებიც ცდილობდნენ კოსმეტიკური ღონისძიებები ჩატარებინათ ეკონომიკის დარგში, დაივიწყეს. შესაძლოა, მტკიცებელია, რომ სოციალურის პარალელურად, ფული დაიხარჯოს განათლებასა და მეცნიერებაში, მაგრამ ეს აუცილებელია და ხანგრძლივი განვითარების წინაპირობაა იძლევა. დღეს ფინეთი ევროკავშირში და მთელს მსოფლიოში, ტექნოლოგიურად და განათლების მხრივ, ერთერთ ყველაზე წამყვან ქვეყანას წარმოადგენს. ამის პარალელურად, ეს ქვეყანა შიდა პროდუქტის თითქმის 4 პროცენტს ხარჯავს მეცნიერებაზე.



ბის განვითარებისათვის. ეს ერთმანეთთან ძალიან მჭიდრო კავშირშია და ამის გააზრების გარეშე ალბათ ძნელი იქნება ხანგრძლივ პერსპექტიულ განვითარებაზე ლაპარაკი და რამეს პროგნოზირება.

იანთაქი: თქვენი აზრით, საკითხი — როგორი ქვეყანა გეჩვენება იყოს ჩვენი სახელმწიფო — სოციალურად ორიენტირებული თუ განვითარებაზე ორიენტირებული, მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს თუ საზოგადოებამ?

ზაალ კოქანი: ეს საზოგადოების გადასაწყვეტია. დემოკრატიულ ქვეყანაში საზოგადოება აყალიბებს გარკვეულ მიმართულებებს, ანუ ირჩევს იმ მთავრობას, რომელიც მის სურვილებს აღასრულებს, მაგრამ, ამავე დროს, გარკვეული ნდობაც უნდა არსებობდეს მთავრობის მიმართ. ხელისუფლებას არ უნდა ეშინოდეს არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმის, ხოლო საზოგადოება, თავის მხრივ, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ეს მტკიცებელი ნაბიჯები მათ სასარგებლოდ იდგმება. ანუ, ერთი მხრივ, ქართველი საზოგადოება უნდა შეთანხმდეს, რა ტი-

პის სახელმწიფო უნდა მომავალში, ხოლო მთავრობამ, რომელსაც ისევ და ისევ საზოგადოება ირჩევს, ეს მიზნები პრაქტიკულად უნდა განახორციელოს. უნდა არსებობდეს კონკრეტული ურსი — მიმართულება, თუნდაც იგივე განათლებაში, და ამაზე გაველენას არ უნდა ახდენდეს, ვინ იქნება მინისტრი ან როგორი იქნება მთავრობა.

იანთაქი: რაიმე სიახლე ხომ არ არის იმ კონცეფციასთან დაკავშირებით, რომლის თანავეტორი, ბატონ ვია დვალთან და სხვა მეცნიერებთან ერთად, თქვენც ბრძანდებით?

ზაალ კოქანი: ამ კონცეფციაში იყო ჩადებული ის მოცემულობა, რაც დღეს განვითარებული და მონივრულ ქვეყნების განათლებასა და მეცნიერებაშია. ჩვენ ეს ჩამოვყალიბეთ ზოგადი კონცეფციის და გზამკვლევის სახით და გადავეცი მთავრობას. შემდეგ რა ბედი ენია და როგორ განვითარდა საქმე, სამწუხაროდ, არ ვიცი.

რადიო „თავისუფლება“, 15 სექტემბერი

კონფერენცია

ანტიკური კულტურისა და მისი მემკვიდრეობის აქტუალური პრობლემები

24 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა იანის ფრიდლის შილაის უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია „ანტიკური კულტურისა და მისი მემკვიდრეობის აქტუალური პრობლემები“, რომელიც თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიკის, ისტორიისა და ნეოგრეციკისტიკის ინსტიტუტის ინსტიტუტისა და იანის ფრიდლის შილაის უნივერსიტეტის ინსტიტუტის თანამშრომლობით გაიმართა.



მასშტაბური ფორუმით აღინიშნა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 60-ზე მეტმა მკვლევარმა საქართველოდან, გერმანიიდან, საბერძნეთიდან, საფრანგეთიდან, აშშ-დან, ბრიტანეთიდან, იტალიიდან, პოლონეთიდან, ბულგარეთიდან, ხორვატიიდან, ირანულიდან და რუსეთიდან. წამოადგინილი იყო 100-ზე მეტი მოხსენება.

თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიკისტიკისა და ნეოგრეციკისტიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელის, აკადემიკოსის რისმაგ გორდენიანის განცხადებით, ამ კონფერენციაზე ნათელი გახდა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ის თემატიკა, რომელზეც ამ დარგის მეცნიერები მუშაობენ. უკვე გამოიკვეთა რამდენიმე საინტერესო პროექტის მონაზნობი, რომელიც სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებთან ერთად განხორციელდება. „უნდა აღინიშნოს, რომ საქართვე-

ლოში იზრდება მეცნიერთა თაობა, რომლებსაც შეუძლიათ მსოფლიო დონის მეცნიერებთან ერთად ჩაერთონ ამ პროექტებში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს კონფერენცია აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი დონის ღონისძიებაა, რაც ჩვენი უნივერსიტეტის და თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიკისტიკისა და ნეოგრეციკისტიკის ინსტიტუტის პრესტიჟია“, — აღნიშნა რისმაგ გორდენიანმა.

მისი აზრით, სასიამოვნოა ის გარემოება, რომ ამ პრობლემატიკის კვლევას საქართველოში მხარს უჭერს ხელისუფლება, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. დღიდან ინტერესება სამეცნიერო წრეებისა და სტუდენტების მხრიდან, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ეს ურთიერთობები საქართველოსთვის.

კონფერენცია, რომელიც სამ დღეს გაგრძელდა, თავისი თემატიკით მრავალფეროვანი იყო: მუშაობდა ხუთი სექცია: ანტიკური ლიტერატურა და ფილოსოფია, ანტიკური სამყაროს ისტორია და კულტურა, ანტიკური მემკვიდრეობა მუა საუკუნეებსა და რენესანსში, ანტიკური მემკვიდრეობა და საქართველო. ამ ძირითადი მიმართულებებით ქართველმა და უცხოელმა მეცნიერებმა წარმოადგინეს თანამედროვე კვლევები. მნიშვნელოვანი იყო პლენარურ სხდომაზე წაკითხული მოხსენებები: რისმაგ გორდენიანის „ნიზანბერძენულ-კავკასიური ჰიპოთეზა კვლევის თანამედროვე ეტაპზე“, ტიმო მტიკლერის „სპარსი ხელმწიფე და ბერძენი კლასიკურ ეპოქაში“, ვახტანგ ლიჩელის „კულტურული ურთიერთობები ცენტრალური კავკასიის ტერიტორიაზე (ძვ. წ ათასწლეული)“, ადოლფ მარტინ რიტერის „დოქტრინის ტრადიციები და კულტურული მემკვიდრეობა ორიგენის ახლადმოჩენილ „ფსალმუნთა ჰომილიებში“.

სპეციალისტებმა აღნიშნეს, რომ ყველა ეს მოხსენება შეიძლება ჩაითვალოს ახალ სიტყვად სიმედიუმში დიფერენციის განვითარებაში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული საზეიმო სხდომა საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა გახსნა, რომელმაც ვრცლად ისაუბრა კონფერენციის მნიშვნელობაზე.

„ჩემთვის ყოველთვის დიდი პა-

ტივია უნივერსიტეტის კედლებში დაბრუნება. განსაკუთრებით მივესალმები იმ მეცნიერებს, რომელთა მეშვეობით გრძელდება ანტიკური პერიოდის კვლევა, რაც მნიშვნელოვანია თანამედროვე ცხოვრების განვითარების თვალსაზრისით, რადგან სწორედ ანტიკური პერიოდიდან მოდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღირებულება — თავისუფლება. თავის დროზე ქრისტიანულმა კულტურამ ეს ღირებულებები გაითვალისწინა და სწორედ ინდივიდის თავისუფლების გააზრებამ მოიყვანა საზოგადოება დემოკრატიულ საზოგადოებამდე“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა. ღონისძიებას თსუ-ის რექტორის მოადგილე, აკადემიკოსი ლევან ალექსიძე, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორი მარინე ჩიტაშვილი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე გიორგი შარვაშიძე, ქართველი და უცხოელი მეცნიერები და სტუდენტებიც დაესწრნენ.

აკადემიკოსმა რისმაგ გორდენიანმა მადლობა გადაუხადა საქართველოს პრეზიდენტსა და შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს, რომელთა ფინანსური მხარდაჭერითაც განხორციელდა ეს პროექტი. ღონისძიებაზე არაერთხელ აღინიშნა, რომ დღეს, როდესაც საქართველო მინისტრის ევროპისკენ, ევროპულ კულტურასთან დაახლოებისკენ, ამ ტრადიციის აღდგენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

მომამზადა შურთსია პაროშვილმა



რა გეგმები აქვს რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ამაჟამინდელ გენერალურ დირექტორსა და უნივერსიტეტის რექტორის ყოფილ მოადგილეს?

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, თსუ-ის პროფესორი მარინა ჩიტაშვილი 16 სექტემბერს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურ დირექტორად დაინიშნა. განაგრძობს თუ არა უნივერსიტეტთან თანამშრომლობას და რის გააკეთებებს აპირებს რუსთაველის სამეცნიერო ფონდში? – გაზატი „თბილისის უნივერსიტეტი“ შეპითხვარეს მარინა ჩიტაშვილი პასუხობს.

— მივიღე მონაწილეობა კონკურსში, რომელიც გამოცხადდა რუსთაველის ფონდის გენერალური დირექტორის პოზიციაზე და გავიმარჯვე 18 კონკურსანტს შორის. იმთავითვე ამიხსენს, რომ შემეძლო დავრჩენილიყავი უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ თანამდებობაზე, რადგან ეს არ იყო ინტერესთა კონფლიქტი, თუმცა მივიღე გადაწყვეტილება, რომ ეს ჩემი მხრიდან აბსოლუტურად არასერიოზული ნაბიჯი იქნებოდა, რადგან არ შეიძლება ადამიანმა შეითავსოს ორი ამხელა საქმე. საუბარია მხოლოდ ადმინისტრაციულ თანამდებობაზე, რადგან, როგორც პროფესორი, უნივერსიტეტში ვრჩები.

როგორ შეაფასებთ იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე იყავით? რა გაკეთდა? რისი გაკეთება ვერ მოესწრო?

— ყველაფერი, რაც ჩემი რექტორის მოადგილეობის პერიოდში გაკეთდა, თუ არ ჩავთვლით მთელ რიგ კონკრეტულ საკითხებს, სამსახურებრივ ბარათებს და ა.შ., ატვირთულია თსუ-ის ვებ-გვერდზე. საუბარია სტრატეგიული განვითარების დოკუმენტზე, რომელსაც თან ახლავს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაწერილი დოკუმენტები, საიდანაც ჩანს, რომ 2014 წლის თებერვალში შედგენილი ჩვენი გეგმა, განხილვის შემდეგ, ალბათ, გამოცხადდება სამომავლო განვითარების 10-წლიან სტრატეგიად, ზოგადად, უმაღლეს განათლებაში.

ანუ ამ დოკუმენტს დაეფუძნება სამომავლოდ მთლიანად უმაღლესი განათლების სისტემა საქართველოში?

— დიახ, ასეა, თუმცა, ნამდვილად არასწორი იქნება იმის თქმა, რომ მე აღმოვაჩინე ამერიკა, ან გამოვიგონე ველოსიპედი, რადგან თუ საქართველოს მთავრობას გადამწყვეტილი აქვს — რეალურად განახორციელოს რეფორმები და განათლება გახადოს პროორიტიული, მაშინ გზა მხოლოდ ერთია: ჩვენ უნდა ვადმოვილოთ წარმატებული ანგლო-საქსონური მოდელი, რომელსაც ინტენსიურად ვდილობს დაუხლოვდეს კონტინენტური ევროპა და მთელი რიგი ქვეყნები ამას წარმატებით ახორ-

ცილებენ კიდევ. ყოველგვარი ინსინუაციები იმის შესახებ, თითქოს მოდერნიზაციის გეგმა არის ვილაცის ნოუ-ჰაუ, გახლავთ ტყუილი, რადგან პრაქტიკამ აჩვენა, რომ სწორედ ეს მიდგომა იძლევა ყველაზე კარგ შედეგს. თუმცა, მოუხდება თუ არა უნივერსიტეტს ამის გაკეთება, ეს თავად უნივერსიტეტის გადასაწყვეტია.

რა ტიპის რეფორმას გულისხმობს ეს დოკუმენტი და რა ეტაპება ახლა მისი განხორციელება?

— მართალია, დროში გაინელა ამ დოკუმენტის მომზადება, რადგან ბევრი იყო მიმდინარე საკითხები, თუმცა ნამდვილად ვერ ავიღებ ჩემს თავზე იმას, რომ ეს ჩემი არაეფექტური მუშაობის კვალობაზე მოხდა. საბოლოოდ, შემუშავდა ერთობლივი ბრძანება, რომელიც გულისხმობს 2015-2018 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის და შესრულების გეგმის განერა-დადგენას ყველა მიმართულებით. ეს ყველაფერი აგებული იქნება იმ პრინციპებზე, რომელიც იყო მოცემული ჩვენ მიერ შემუშავებულ ძირითად დოკუმენტში: ეს პრინციპებია ინტერნაციონალიზაცია, კვლევის დაბრუნება უნივერსიტეტში და მოდერნიზაცია. კომისიაში, რომელიც შეიქმნა ამ რეფორმის განახორციელებლად, მეც ვიყავი შესული, მაგრამ ახლა, ალბათ, ავტომატურად შევა ბრძანებაში ცვლილება და დავტოვებ კომისიას. კომისია კი, რომელიც შეიქმნა, ცხადია, არ გაუქმდება. მე, პირადად, მოუთმენლად ველოდები გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, ვინ იქნება რექტორის მოადგილე სტრატეგიული განვითარების მიმართულებით, რადგან მინდა, გადავაბარო ეს საქმეები.

ჩვენ მიერ შემუშავებული მოდერნიზაციის დოკუმენტი კარგად აღწერს იმას, თუ რა პრობლემებია და რა არის სასწრაფოდ და პირველ რიგში გასაკეთებელი საიმისოდ, რათა უნივერსიტეტში მივაღწიოთ ეფექტურ მმართველობას, კვლევის რეალურად დაბრუნებას და ინტერნაციონალიზაციას. გამოხმაურების კვალობაზე შემოიღია გითხრათ, რომ დოქტორანტთა, ასოცირებულ პროფესორთა და ასისტენტ-პროფესორთა შორის ამ დოკუმენტს საკმაოდ ბევრი მხარდამჭერი ჰყავს. ამ დოკუმენტის რეალიზაციის თაობაზე ვერ ვერაფერს გეტყვით, თუმცა ამაზე პასუხი არაუგვიანეს ამ წლის 15 დეკემბრისთვის უნდა იყოს.

ერთწლიანი მუშაობის შედეგად თქვენ უნივერსიტეტში არსებული მრავალი პრობლემა გამოავლინეთ. რომელ მათგანზე გაამახვილებთ ყურადღებას და რისი გაკეთება მიგაჩნიათ საშურ საქმედ?

— ვინმემ რომ მკითხოს, რა არის ნომერ პირველი საქმე, ვიტყ-

ვი, რომ სასწრაფოდ უნდა დაიწყოს თანამშრომელთა დატრენინგება ელექტრონული მმართველობის მიმართულებით. უნივერსიტეტს 2015 წლიდან ისედაც ევალება ამაზე გადასვლა და ამ პროცესს თანამშრომლები უკვე მომზადებული უნდა შეხვდნენ.

ძალიან მნიშვნელოვან საკითხად მერყენება ე.წ. Graduate school-ის გაკეთებაც, რაც პირდაპირ წერია კიდევ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტებში. სრულიად დაუმეგებელია ის, რაც დღეს ხდება სამაგისტრო და სადოქტორო სწავლებასთან მიმართებაში: ეს არ არის ერთიანი, ცენტრალიზებული სისტემა, მაშინ, როდესაც ერთი ადმინისტრაციული მმართველობის პირობებში იზოგება ენერგია, დრო და ფინანსები და, საბოლოოდ, უფრო მიზილური და ეფექტური ხდება მთლიანად სწავლება. Graduate school-ის შემთხვევაში კი ადამიანი მიზილული აღარ არის თავის პროგრამის ხელმძღვანელზე, კოორდინაციაშია სუპერვიზორზე და, შესაბამისად, მთელი ოპირირება არის უკიდურესად განარტიკებული. ეს ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია, განსაკუთრებით იმის კვალობაზე, რომ სანდიეგოს უნივერსიტეტთან ერთად ჩვენ უნდა განვხორციელოთ გარკვეული პროგრამები. თუ ჩვენ ნელ-ნელა, ბაკალავრიატიდანვე ვინვერსიტეტისთვის დამაბასიათებელ მოდელზე, მაშინ ჯობია ავილოთ Graduate school-ის მოდელი, რაც გულისხმობს სამაგისტრო და სადოქტორო სწავლების ერთიანი სისტემის შექმნას, რომელშიც სრულიად გარანტირებული იქნება ხარისხი, დაიდება ერთმნიშვნელოვანი სტანდარტი და ეს იქნება განერილი პასუხისმგებლობები როგორც უნივერსიტეტის, ასევე დოქტორანტის მხრიდან. Graduate school, ფაქტობრივად, ახალგაზრდა მკვლევარს უქმნის გარემოს, სადაც პირადად არის მიზილული უშუალოდ პირიქნაზე, თემის ხელმძღვანელზე და აქვს ურთიერთობა, კონტაქტი, იგებს განსხვავებულ მოსაზრებებს და თემის ინტერესის მიხედვით არის ჩართული სხვადასხვა ქსელში.

რადგან მიგაჩნიათ, რომ ბევრი რამ არის გასაკეთებელი უნივერსიტეტში და წამოიწყეთ კიდევ მრავალი საქმე, მაშინ რატომ ნახვედით უნივერსიტეტიდან?

— ნამოვედი ორი მიზეზის გამო: მე რასაც ვუყურებ, გრძელდება კვლევისა და სწავლების ერთმანეთისგან გამოიჯნის და გაყოფის საბჭოური ტრადიცია. რუსთაველის ფონდს, რომელიც ძირითადად ემსახურება კვლევების განვითარებას საქართველოში, შეუძლია და უნდა გახდეს კიდევ ერთ-ერთი ცენტრალური ბერკეტი, რომელიც უმაღლეს სასწავლებლებს და მასში ფორმალურად გაერთიანებულ



მარინა ჩიტაშვილი: 2015 წელს აუცილებლად მოხდება სამეცნიერო ფონდის და კონსერსიების რეორგანიზაცია

აკადემიის ძველ ინსტიტუტებს აიძულებს — ცოტა სხვანაირად იფიქრონ და კვლევები გააკეთონ იმ ახალგაზრდების ჩართვით, რომლებიც არიან უნივერსიტეტში და მოახდინონ იმ რესურსების ინტეგრირება, რომელიც არის ამ პატარა ქვეყანაში.

ჩემი ნამოსვლის მიერ მიზეზია ის, რომ დღეს მეცნიერება და სწავლება უმაღლეს სასწავლებლებში არ არსებობს გლობალური განზომილების გარეშე. ფონდი უნდა ემსახურებოდეს საქართველოში არსებული აკადემიური ქსელის ინტეგრირებას საერთაშორისო აკადემიურ ქსელში და ამის კეთება პრინციპულად შეუძლებელია უმაღლეს სასწავლებლებთან მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე. ოღონდ ეს მჭიდრო თანამშრომლობა მხოლოდ იმას კი არ გულისხმობს, რომ მე ვაფინანსებ მხოლოდ წარმატებულ მკვლევარს, არამედ მჭირდება, რომ იმ წარმატებულმა მკვლევარმა ახალი თაობები გამოზარდოს. თუ გადავხედავთ უკვე დაფინანსებულ კვლევით პროექტებს, ასეთი პროფილი არსად ჩანს და შედეგად არ ვიღებთ იმას, რომ საქართველოში უფრო და უფრო მწირი ხდება სამეცნიერო ლანდშაფტი და პროფილი ვინროვდება. და ეს მაშინ, როდესაც ახალგაზრდის ჩართვა (დოქტორანტი იქნება, მაგისტრი თუ პოსტდოკი) ხელს შეუწყობს ახალი ხედვებისა და თემების წინ წამოწვას.

ანუ, თქვენ ფიქრობთ, რომ ამოკალურად უნივერსიტეტიდან აღის გაკეთება აწინდლები და რუსთაველის ფონდი საამისოდ უფრო სერიოზული ბერკეტია?

— ნამდვილად. უფრო მეტიც, ეს არ არის მარტო ჩვენი უნივერსიტეტის, ან მარტო ჩვენი ქვეყნის პრობლემა. ზოგადად პოსტ-საბჭოთა სივრცეში განათლებისა

და მეცნიერების ინტეგრირების პრობლემა არსებობს და 15 ყოფილი რესპუბლიკიდან ყველაზე წარმატებულად ამას თავი ესტონეთმა გაართვა, ანუ ეს არ არის მარტივი საქმე.

ჩემი ძირითადი იდეაა კვლევების ინტერნაციონალიზაცია, საერთაშორისო ქსელში უმაღლესი სასწავლებლებისა და მეცნიერების ინტეგრირება. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც იტყვიან, ჩვენს ქვეყანას ბედნიერი და ნათელი მომავალი არ ელის.

კიდევ ერთ ცენტრალურ პრობლემასაც უნდა შევეხო. განვითარებულ ქვეყნებში ორი ძირითადი მიზეზია კვლევებისა და განათლების სისტემას და თუ ისინი ერთად, ინტეგრირებულად არ მუშაობენ, არც ერთი იარსებებს და არც მეორე.

რაც შეეხება კონკრეტულ ამოცანებს, რუსთაველის ფონდში და ვინიშნე 16 სექტემბერს. წლევანდელი კონკურსების თითქმის 90% უკვე გამოცხადებულია. 2015 წელს კი აუცილებლად მოხდება სამეცნიერო ფონდის და კონკურსების რეორგანიზაცია. დიდი იმედი მაქვს, რომ დეკემბერში უკვე ერთმნიშვნელოვნად შევთანხმდებით მთავრობასთან და განსაკუთრებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან — რა მიმართულებებს ვაცხადებთ ქვეყანაში პროორიტიზებად და, შესაბამისად, მოხდება მიზნობრივი დივერსიფიცირება სხვადასხვა მიმართულებით გამოცხადებულ კონკურსებზე.

მომამზადა
ლელა კურდღელაშვილი



„კრიტიკული აზროვნება სოციალურ მეცნიერებაში“ კურსდამთავრებულების დაჯილდოების ცერემონია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ზამთრის სკოლის „კრიტიკული აზროვნება სოციალურ მეცნიერებებში“ კურსდამთავრებულების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. ღონისძიებას ზამთრის სკოლის პედაგოგები და სტუდენტები დაესწრნენ. კურსდამთავრებულებს სერტიფიკატები თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა თამარ მახარაძემ და ფაკულტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ხელმძღვანელმა იაგო კაჭკაჭიშვილმა გადასცეს. „განათლების სამინისტროს ინიციატივით საინტერესო მი-

მართულების ზამთრის სკოლა გაიმართა. მართალია, ლექციებზე სასწავლო პროგრამების ფარგლებში მრავალ პრობლემაზე ვსაუბრობთ, მაგრამ ზამთრის სკოლამ თავი მოუყარა სოციალურ მეცნიერებებში კრიკულ რეფლექტივებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ რეგიონული უნივერსიტეტები მონაწილეობდნენ ზამთრის სკოლაში; მოხდა გამოცდილების ურთიერთგაზიარება, სოციალური კავშირების დამყარება, რაც ხელს შეუწყობს სკოლის კურსდამთავრებულთა შემდგომი განვითარების საქმეს“, — განაცხადა თსუ-ის პროფესორმა იაგო კაჭკაჭიშვილმა.

„ძალიან სასარგებლო პროექტი გამოდგა. ეს გახლდათ პირველი შემთხვევა, როცა თით-

ქმის მთელი ქვეყნის სოციოლოგის მიმართულების სტუდენტები ერთად შევიკრიბეთ. ბევრი შევიძინეთ არა მხოლოდ აკადემიური კუთხით, არამედ დავამყარეთ პირადი ურთიერთობები, ერთმანეთში გავცვალეთ ინფორმაცია“, — აღნიშნა ზამთრის სკოლის კურსდამთავრებულმა, თსუ-ის სტუდენტმა თეკლა ჯამრულიძემ.

ზამთრის სკოლა „კრიტიკული აზროვნება სოციალურ მეცნიერებებში“ თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის დეპარტამენტმა ჩაატარა. მასში 50 სტუდენტი მონაწილეობდა — 20 თსუ-დან, ხოლო 30 — რეგიონული უნივერსიტეტებიდან (ბათუმის, ქუთაისის, გორის, თელავის

და ახალციხის უნივერსიტეტები).

სკოლაში პედაგოგებად მონაწილე იყვნენ თსუ-ისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების ცნობილი მეცნიერები, აგრეთვე, უცხოელი პროფესორები ფრანკფურტის (გერმანია) და ჰელსინკის (ფინეთი) უნივერსიტეტებიდან. ზამთრის სკოლა „კრიტიკული აზროვნება სოციალურ მეცნიერებებში“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014 წლის 17-26 თებერვალს გაიმართა. სკოლას ორგანიზება გაუწია თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულებამ.



ნიკო ჯავახიშვილი — ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო დოქტორი

2014 წლის 10 ივნისს, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის სენატმა საპატიო დოქტორის წოდება (Doctor Honoris Causa) მიანიჭა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ ნიკო ჯავახიშვილს. ეს საპატიო წოდება ქართველ ისტორიკოსს მიენიჭა ხუთწლიანი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, კერძოდ, ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიის შესახებ გამოცემული ვრცელი მონოგრაფიის, სხვადასხვა ენებზე გამოქვეყნებული მრავალი სტატიისა და აღნიშნულ პერიოდში ლატვიის ავტორიტეტულ სამეცნიერო-სასწავლო ცენტრებში ნაკითხული სალექციო კურსებისათვის.

16 სექტემბერს, რიგაში, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიაში, შედგა პროფესორ ნიკო ჯავახიშვილისათვის ისტორიის დარგში საპატიო დოქტორის დიპლომის (№ 128) გადაცემის საზეიმო ცერემონია. მასში მონაწილეობა მიიღეს: ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსმა ოიარს სპარიტისმა, სენატის თავმჯდომარეებმა, აკადემიკოსმა იანის სტრადინმა და სენატის წევრებმა. საგანგებოდ მოწვეული სტუმართა შორის იყვნენ: ლატვიაში საქართველოს ელჩი თეიმურაზ ჯანჯალია და ამ ქვეყანაში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოს წარმომადგენლები.

ყოველივე ამის გამო, გავსაუბრეთ ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო დოქტორის ნიკო ჯავახიშვილს, რომელიც საქართველოში ამ რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა.

— ბატონო ნიკო, როგორ დაიწყო თქვენი ურთიერთობა ბალტიისპირეთის სახელმწიფოებთან და რატომ გადაწყვიტეთ ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიის შესწავლა?

— უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში მეცნიერულად ვიკვლევ საქართველოს ურთიერთობებს მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოებთან, მათ შორის, გერმანიასთან, პოლონეთთან, რუსეთთან, ირანთან, თურქეთთან, იაპონიასთან და სხვა ქვეყნებთან. ამ საკითხების შესწავლას მივუძღვენი არაერთი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, რამდენიმე წიგნი. რაც შეეხება ბალტიისპირეთში მდებარე სამ ქვეყანას: ლატვიას, ლიეტუვას და ესტონეთს, ეს სახელმწიფოები ყოველთვის ძალიან მინიჭიერებს. პირველი სამეცნიერო ნაშრომი (რეცენზია) ლატვიის ისტორიის შესახებ ჯერ კიდევ 15 წლის წინათ გამოვეყვეყნე კრებულში „ქართული დიპლომატია“ (იხ.: ტომი 6, თბ., 1999).

2008 წელს ლატვიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩად დანიშნეს პროფესორი კონსტანტინე კორკელია, რომელსაც თბილისის უნივერსიტეტიდან ვიცნობ. როდესაც მას გავაცანიე პროექტი ჩემი მონოგრაფიისა: „ნარკვევები ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიიდან“. იგი დაინტერესდა და შემომთავაზა თანადგომა ლატვიაში დაგეგმილ სამეცნიერო საქმიანობაში. მისი მხარდაჭერით, 2009-2010 წლებში, ორჯერ, საკმაოდ ხანგრძლივი დროით, ვეწვიე ლატვიას. სამწლიანი სამეცნიერო მუშაობის შედეგად, დაწერე მონოგრაფია, რომელიც ზემოხსენებული სახელწოდებით თსუ-ის გამოცემლობამ წიგნად გამოსცა. მარშან ამ წიგნის პრეზენტაციები შედგა ლატვიასა და ლიეტუვაში, კერძოდ, რიგისა და ვილინიუსის უნივერსიტეტებში, ამ ქვეყნების ისტორიის ინსტიტუტებსა და ლატვიის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მუზეუმში. ამის თაობაზე ინფორმაცია და სამეცნიერო რეცენზიები გამოქვეყნდა როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

— თქვენი აზრით, რა წვლილს შეიტანს თქვენი ნაშრომი ქართულ და ბალტიისპირულ ხალხთა ურთიერთობაში?

— როგორც ავტორს, მიზანშეუწონლად მიმაჩნია საკუთარი წიგნის მნიშვნელობაზე საუბარი. ვფიქრობ, უმჯობესია, რომ ამასთან დაკავშირებით მოვიყვანოთ ამონარიდი ლატვიაში საქართველოს ელჩის, პროფესორ კონსტანტინე კორკელიას ოფიციალური წერილიდან, რომელიც მან 2011 წლის 12 დეკემბერს, ქ. რიგიდან გამომიგზავნა:

„ბატონო ნიკო, პირველ რიგში, მინდა, მადლობა გადაგიხადოთ თქვენი ავტორობით გამოცემული წიგნის „ნარკვევები ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიიდან“ გამოგზავნიისათვის. მსურს ხაზი გავუსვა აღნიშნული წიგნის დიდ მნიშვნელობას, რომელიც თავმოყრილია ბალტიის ქვეყ-

ნებთან საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობების ხანგრძლივი ისტორიის ამსახველი არაერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტი. ვფიქრობ, რომ ეს წიგნი არის საქართველოსა და ბალტიის ქვეყნების ურთიერთობის ამსახველი ერთგვარი მატარებელი. თქვენი ნაშრომი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ვინაიდან ქართულ-ბალტიური ურთიერთობებს ათ საუკუნეზე მეტი წინ ისტორია აქვს, თუმცა, ერთ მთლიანობაში ის დღემდე არ ქცეულა საგანგებო, მონოგრაფიული კვლევის ობიექტად.“

— როგორ შეაფასო თქვენი ნაშრომი ბალტიისპირულ სამეცნიერებაში?

— აქაც გთავაზობთ ამონარიდს ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის სენატის თავმჯდომარის, აკადემიკოს იანის სტრადინის მიერ 2011 წლის 25 ნოემბერს გამოგზავნილი წერილიდან: „*„Что действительно капитально и основополагающий труд, который я получил в августе с. г. от посла проф. Коркелія и который просмотрел с большим удовольствием. Желая выхода книги и на английском или латышском языке. Я понимаю, какую большую задачу Вы уже разрешили, поздравляю Вас!“*

ჩემს სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას შემდეგი შეფასება მისცა ლატვიის უმაღლესი ჯილდოს — სამი ვარსკვლავის ორდენის კავალერმა, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, აკადემიკოსმა ვიქტორ კალანდერმა ამა წლის 10 სექტემბერს გამოგზავნილი წერილით:

„Дорогой Николай Георгиевич, Сердечно поздравляю Вас с присуждением Вам звания Почетного Доктора Латвийской Академии Наук.

Вы являетесь яркой личностью, внесшей огромный вклад в развитие научных связей между грузинскими и латвийскими учеными, а также в укрепление добрых отношений между нашими народами. Желая Вам крепкого здоровья, счастья и новых свершений!“

ლატვიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა გუნტის ზემიტისმა თავის წერილში თბილისის უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავასადმი აღნიშნა, რომ ამ საპატიო წოდებაზე მისმა ინსტიტუტმა წარმადგინა (მისი ასლი თან ერთვს ამ ინტერვიუს რედაქცია).

საგულისხმა, რომ ლატვიელ მეცნიერებს არც მათი ლიტველი კოლეგები ჩამორჩნენ. კერძოდ, ქალაქ კაუნასში მდებარე „ლიტვის დიდი სამთავროს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტმა“ (დირექტორი - პროფესორი რუსტის კამუნტაჰიჩიუსი) ამა წლის 18 მაისს ამირჩია თავისი სამეცნიერო საბჭოს წევრად.

— როგორ აღიქვამთ ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის სენატის გადაწყვეტილებას თქვენთვის საპატიო დოქტორის წოდების მონიჭების შესახებ? რას ნიშნავს თქვენთვის ამ წოდების მიღება?

— ამ გადაწყვეტილებით ლატვიის რესპუბლიკის სამეცნიერო საზოგადოებამ გამოხატა თავისი თანადგომა ჩემი ხუთწლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის შესახებ, რაც მივუძღვენი ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიის კვლევას და მისი შედეგების პოპულარიზაციას სამეცნიერო პუბლიკაციებითა და სალექციო კურსებით კითხვით ლატვიის სამეცნიერო და სასწავლო ცენტრებში.

აღნიშნული წოდების მიღება ჩემთვის, რასაკვირველია, სასიხარულო და საამაყოა, რაც იმავდროულად, უდიდეს პასუხისმგებლობასაც მაკისრებს ევროპის ამ ერთ-ერთ უმშვენიერეს სახელმწიფოს წინაშე.

— ამ ქვეყნებში, ლატვიასა და ლიეტუვას სახელმწიფო უნივერსიტეტების მიწვევით, სამეცნიერო მივლინებით წლევანდელ სექტემბერშიც იმყოფებით. ამჯერად რომელ დანესებულეებში ნაკითხეთ სალექციო კურსები?

— ვინაიდან ბალტიის ქვეყნებში სწავლა ტრადიციულად 1



სექტემბერს იწყება, სამეცნიერო მივლინებით იქ აგვისტოს მიწურულს ჩავედი. ვილინიუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე ნავიკითხე ლექციების მოკლე კურსი თემაზე: „ქართულ-ლიტვიური ურთიერთობების ისტორიიდან“. სხვათა შორის, 1579 წელს დაარსებული ვილინიუსის უნივერსიტეტი ითვლება ევროპის ერთ-ერთ ყველაზე ძველ უნივერსიტეტად.

7 სექტემბერს ჩავედი ლატვიის დედაქალაქ რიგაში, სადაც 16 სექტემბრამდე დავრჩი. ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ ბიბლიოთეკაში ნავიკითხე სალექციო კურსი თემაზე: „ქართულ-ლიტვიური ურთიერთობის ისტორიიდან“.

— რა პერსპექტივები გაქვთ მომავალში თქვენი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის განვითარებისათვის (ლექციები, ურთიერთობები, ერთობლივი სამეცნიერო პროექტები) ბალტიისპირეთის ქვეყნებში?

— 2009 წლიდან ყოველწლიურად ჩავდივარ ბალტიისპირეთის ქვეყნებში, სადაც გავიცანი ადგილობრივი ისტორიკოსები, ხოლო ნაწილობრივ - მეცნიერების სხვა დარგის სპეციალისტებიც. მათთან მაკავშირებს ინტენსიური ურთიერთობა, რაც უკვე მეგობრობაში გადაიზარდა. ჩვენ ერთობლივად შევიქმნავეთ რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი, რომელთა განხორციელებასაც ახლო მომავალში ვაპირებთ. დეტალურად საუბრისაგან ამჯერად თავს შევიკავებ. სჯობს, რომ უკვე მომხდარ ფაქტებზე ვისაუბროთ.

— ყველაზე მეტად რა მოგწონთ ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და ხალხებს?

— ლიტვამ და ესტონეთმა უდიდესი ძალისხმევით შეძლეს, რომ ათი წლის წინათ წარმატებით განვერიანდნენ ევროკავშირსა და ნატოში, რაც ხელს უწყობს ამ სახელმწიფოთა შინაგან სტაბილურობასა და მშვიდობიან განვითარებას. ამ ქვეყნებში არსებული გარკვეული სირთულეების მიუხედავად, იქაური მოსახლეობა მომავალს იმედით უმზერს.

მახარებს, რომ ისინი არ ფარავენ სიმამათის საქართველოს და ქართველების მიმართ, რასაც სისტემატურად გამოხატავენ.

განსაკუთრებით მომწონს ბალტიისპირეთის პატრიოტიზმი, დიდი შრომისმოყვარეობა და სწრაფვა პროფესიული დაოსტატებისაკენ, ასევე, კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ, რაც მისაბამ მაგალითად მიმაჩნია. ვინაიდან საკმაოდ კარგად ვიცნობ ბალტიისპირელ მეცნიერებს, შემძლია თამამად ვთქვა შემდეგი: მათ არ უჭირთ თავიანთი კოლეგების ღირსებების აღიარება და არ ცდილობენ მათთვის ხელის შეშლას, რაც მათივე მაღალი შინაგანი კულტურის მაჩვენებელია.

— რით ვგავს ერთმანეთს ჩვენი ქვეყნები? როგორ გესახებათ ქართულ-ბალტიური ურთიერთობის სამომავლო პერსპექტივა?

— საქართველო, ლატვია, ლიეტუვა და ესტონეთი - საერთაშორისო მასშტაბით მცირე ზომის სახელმწიფოებია, ასევე საკმაოდ მცირერიცხოვანი მოსახლეობით. მათ თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში ერთიანი, დიდი სახელმწიფოს შემადგენლობაში მოუწიათ ცხოვრება, რამაც საკმაოდ დაგვაახლოვა ერთმანეთთან, მიუხედავად გეოგრაფიული სიშორისა. ქართველები და ბალტიისპირელები ერთმანეთს ჰგვანან თავისუფლების სიყვარულით და თავიანთი სამშობლოსათვის თავდადებით.

ჯერ რუსეთის იმპერიის, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მოქცეულ ქართველ და ბალტიისპირელ ხალხებს შორის ჩამოყალიბდა შინაგანი სოლიდარობის გრძნობა, რომელიც სისტემატურად ვლინდებოდა სხვადასხვა სფეროში. ჩვენი ერთად ერთად იბრძოდნენ თავისუფლებებისათვის, რამაც მათ შორის არსებული მეგობრობა კიდევ უფრო განამტკიცა. მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყნები კვლავ დამოუკიდებელი გახდნენ, მათ შორის საკმაოდ მჭიდრო სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობა დაიწყო. თანამედროვე ეტაპზე წარმატებით ვითარდება ჩვენი თანამშრომლობა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამეცნიერო-კულტურულ სფეროებში. ყოველივე ეს კი მტკიცედ საფუძველს ქმნის ჩვენს ქვეყნებს შორის უკვე არსებული ურთიერთობების კიდევ უფრო გასაღრმავებად.

ესაუბრა მანა ტორაძე



ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ოიარს სპარიტისი, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო დოქტორი, პროფესორი ნიკო ჯავახიშვილი, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის სენატის თავმჯდომარე, აკადემიკოსი იანის სტრადინი, ლატვიის აკადემიური ბიბლიოთეკის დირექტორი, დოქტორი ვენტა კოცერე და ლატვიაში საქართველოს ელჩი თეიმურაზ ჯანჯალია (რიგა, 16. IX. 2014 წ.).





რექტორობის 1 წელი



პოლიტიკოსებს და, ზოგადად, არჩეულ თანამდებობის პირებს დაპირებების შეუსრულებლობას ხშირად ახსენებენ. თსუ-ის რექტორიც არჩეული პირია, თუმცა, ლადო პაპავას შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ უკვე, რექტორობის წლისთავზე, მისი რამდენიმე წინასწარჩვენო დაპირება ნამდვილად შესრულდა. სწორედ ამ კუთხით გაანალიზების საშუალებას იძლევა ის წლიური ანგარიში, რომელიც რექტორმა, აკადემიკოსმა ლადო პაპავამ 18 სექტემბერს საზოგადოებას პრესკონფერენციაზე გააცნო

გვესაუბრება თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა



ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის შექმნის პროცესი ოქტომბერში დასრულდება

სიახლეებს შორის მთავარ მიღწევად რექტორმა ლადო პაპავამ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ახალი ფაკულტეტის შექმნა გამოყო, რომლის ჩამოყალიბების პროცესიც ოქტომბერში დასრულდება.

„ჩვენი გადამწყვეტილება გახლავთ პასუხი თანამედროვე გამოწვევაზე, რადგან, დღევანდელ საქართველოში, მოთხოვნადი გახდა ისეთი პროფესიები, როგორცაა ფსიქოლოგისა და პედაგოგის პროფესია. სამწუხაროდ, ამ სფეროში, ბოლო წლებში, ყველაზე ნეგატიური გამოცდილება დაგროვდა — ფაქტობრივად გაუქმებულია დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, რომელიც ადრე მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შემადგენლობაში არსებობდა. მნიშვნელოვანია, რომ ფსიქოლოგიის სპეციალობა გახდეს პრესტიჟული და თავიდანვე ხელმისაწვდომი ახალგაზრდებისთვის. არანაკლები პრობლემები შეექმნა პედაგოგის პროფესიასაც. ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს, რომ საბჭოთა ეპოქიდან მოყოლებული, თბილისსა და სხვა რეგიონულ ცენტრებში იყო პედაგოგიური ინსტიტუტები, რაც დღეს უკვე აღარ არსებობს. ამდენად გახლავთ მნიშვნელოვანი ამ მიმართულების წინ წამოწევა, რაც საფუძვლად დაედო ახალი ფაკულტეტის შექმნას. სულ მალე, სავარაუდოდ ოქტომბერში, ფაკულტეტი სრულად ჩამოყალიბდება. რაც შეეხება ფსიქოლოგიის და პედაგოგიის მიმართულებით აკადემიურ თანამდებობებზე მყოფ პროფესორებს, ახალ ფაკულტეტზე მათ ავტომატურად გადავიყვანთ ყოველგვარი ახალი კონკურსების გარეშე.

მადლობელი ვარ აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების, რომლებმაც კარგად გაიაზრეს აღნიშნული პრობლემა და ჩვენს ინიციატივას — ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის შექმნის თაობაზე, მხარი დაუჭირეს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უკვე დამტკიცებულია უნივერსიტეტის ახალი წესდება, რომელშიც ეს ფაკულტეტი ოფიციალურად ფიგურირებს”, — აღნიშნა რექტორმა ლადო პაპავამ.

პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტში კვლევის გასაბრკალებლად 12 ახალგაზრდა დოქტორის შესარჩევი კონკურსი ნოემბერში დასრულდება

რექტორ ლადო პაპავას წინასწარჩვენო პროგრამის ერთ-ერთი მთავარი პუნქტი უნივერსიტეტში პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტის შექმნა იყო, რომელიც ამ ერთი წლის მანძილზე განხორციელდა კიდევ. გამოცხადდა კონკურსი 12 დოქტორის შესარჩევად, რომელთა კვლევით საქმიანობასაც პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტში უნივერსიტეტი სრულად დააფინანსებს.

„ის, რითაც ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ, პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტის შექმნაა. გვაქვს 12 საკონკურსო ადგილი. კონკურსი ნოემბერში დასრულდება და ჩვენ გვექნება ახალი ინსტიტუტი — შევსებული „ახალი სიცოცხლით“ — ახალგაზრდა დოქტორებით, რომლებმაც სადოქტორო დისერტაციები დაიცვეს და ახლა უკვე უნივერსიტეტის ხელშეწყობით სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას გააგრძელებენ. ბუნებრივია, გვაქვს არასაკონკურსო ადგილებიც, მაგრამ ამ ადგილებზე მოხვედრილ დოქტორებს უნივერსიტეტი არ დააფინანსებს”, — აღნიშნა ლადო პაპავამ.

თსუ-ის მეცნიერთა, მკვლევარ-სტუდენტთა და პედაგოგთა ნახალისების საქმედ ქცეული ინიციატივა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას ინიციატივით, 2013 წელს დაწესდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო პრემია ქართველოლოგიაში განსაკუთრებული ღვაწლისთვის, რომელიც უცხო ქვეყნის წარმომადგენელ მეცნიერ-მკვლევარს 2 წელიწადში ერთხელ გადაეცემა. პირველი ასეთი სამეცნიერო პრემია 2014 წელს პროფესორ ჰაინც ფენრიხს მიენიჭა. მეცნიერს საერთაშორისო სამეცნიერო პრემიის დიპლომი, ივანე ჯავახიშვილის მედალი და 20 000 ლარის ოდენობით თანხა გადაეცა.



რექტორის, აკადემიკოს ლადო პაპავას ინიციატივით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 23-25 აპრილს ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ფორუმი გაიმართა, სადაც გამოვლინდნენ უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის 6 საუკეთესო მეცნიერ-მომხსენებელი და სამივე საფეხურის სტუდენტები, რომელთაც საფაკულტეტო კომისიების მიერ შერჩეული საუკეთესო მოხსენებები ჰქონდათ წარმოდგენილი. ფორუმში მონაწილე მოხსენებების ავტორებს გადაეცათ სერტიფიკატი და წამახალისებელი ფულადი ჯილდო: პროფესორებს 5 000 ლარი, დოქტორანტებს 1500 ლარი, მაგისტრანტებს 1000 ლარი, ხოლო ბაკალავრიატის სტუდენტებს 500 ლარის ოდენობით.

ფორუმში, რექტორის განწყვეტილებით, ყოველ წელს, ივანე ჯავახიშვილის დაბადების დღის აღსანიშნავად გაიმართება.

2014 წელს რექტორის ლადო პაპავას ინიციატივით უნივერსიტეტმა შემოიღო წლის საუკეთესო პედაგოგის წოდება. ფაკულტეტების მიხედვით, ბაკალავრიატის სტუდენტების გამოკითხვის გზით, წელს უკვე შეირჩნენ წლის საუკეთესო პედაგოგები, რომელთაც სერტიფიკატი და ფულადი ჯილდო გადაეცათ. თსუ-ის საუკეთესო პედაგოგების გამოვლენის პრაქტიკა მომავალშიც გაგრძელდება.



სამეცნიერო ფორუმზე მეცნიერ-მკვლევართა დაჯილდოების ცერემონია





რეპორტაჟის 1 ნაწილი

მეშვიდე გვერდიდან

აკადემიური რეგისტრაციისა და ბაზის გაუმართაობის პრობლემა გადაიჭრა

ლალო პაპაძე: „უნივერსიტეტში აქტიურობის ქუსლი იყო აკადემიური რეგისტრაცია. სტუდენტური პროტესტი ხშირად სწორედ ბაზის გაუმართაობასთან იყო დაკავშირებული, რაც სტუდენტის დროულ რეგისტრაციას აფერხებდა. ეს საკითხი 2014 წლის მარტისთვის ნაწილობრივ გადაიჭრა, ახალი სასწავლო წლისთვის კი პრობლემა, პრაქტიკულად, სრულად მოგვარდა. საინფორმაციო-ტექნოლოგიების დეპარტამენტის რეორგანიზაციამ გამართა, ამასთან ჩვენ შევიძინეთ მძლავრი სერვერები, ახალი კომპიუტერული ტექნიკა, შევქმენით სასწავლო პროცესების მართვის გაუმჯობესებული ტექნოლოგიური ბაზა. პროცესს კვლავ სჭირდება დახვეწა, მაგრამ აკადემიური რეგისტრაციის გავლა, შეიძლება ითქვას, რომ პრობლემას აღარ წარმოადგენს. დარწმუნებული ვარ, რომ ხვალ, როცა უნივერსიტეტი ახალი ნაკადით შეივსება, სტუდენტებს საერთოდ არ ეცოდინებათ, რომ უნივერსიტეტში მსგავსი პრობლემა არსებობდა“.



2013 წელს ახალი სასწავლო წელი სტუდენტური პროტესტით დაიწყო

სასწავლო სახელმძღვანელოების დეფიციტის პრობლემის მოგვარებასა და თარგმნის პროცესზე მუშაობა დაწყებულია

ლალო პაპაძე: „დიდი მნიშვნელობა აქვს უნივერსიტეტისთვის სასწავლო სახელმძღვანელოების პრობლემის მოგვარებას — ეს არის ერთ-ერთი მოთხოვნა სტუდენტების, რა მიმართულებითაც ძალზედ ინტენსიურად იმუშავა ჩვენმა ბიბლიოთეკამ. ერთი წლის განმავლობაში თითქმის 3 000-მდე დასახელების წიგნი შევიძინეთ, მათ შორის, 2000-ზე მეტი სასწავლო სახელმძღვანელო. არის ისეთი სახელმძღვანელოებიც, რომლებიც აღარ გამოდის და მათი წყობა შეზღუდულია. ამიტომ უნივერსიტეტმა თავისი სახსრებით იყიდა უნივერსიტეტის რეორგანიზაციის პროექტის, რომელსაც შეუძლია საკმაოდ სწელტანინი წიგნი ციფრულ ფორმატში მაქსიმუმ ნახევარ საათში გადაიყვანოს. ასე რომ, უკვე ახალი სემესტრისთვის ჩვენ გაციფროვებული გვექნება სასწავლო ლიტერატურის საკმაოდ დიდი ნაწილი, რაც სტუდენტებისთვის სახელმძღვანელოების დეფიციტის პრობლემას ნაწილობრივ მანაც მოხსნის.“

ასევე, შეძენილია 20-მდე სახელმძღვანელოს თარგმნის უფლება (საუბარია საზღვარგარეთ გამოქვეყნებულ ცნობილ სახელმძღვანელოებზე). სათარგმნი წიგნები ფაქტობრივად მეტწილად შეიძინა. მედიცინის ფაკულტეტის მიერ მომზადებული ერთი ასეთი სახელმძღვანელო უკვე გამოიცა, რომლის პრეზენტაციაც გაზაფხულზე შედგა. 4 სახელმძღვანელოს თარგმნა წლის ბოლოს დასრულდება. მოგეხსენებათ, ეს ყოველივე შრომატევადი საქმეა“.

მე-9 გვერდი


სახელმძღვანელოს, რომელიც უკვე ვითარგმნით და გამოვიცით, მყიდველი არ ჰყავს!

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის ნაკლებობის გამო უკმაყოფილებას კვლავაც გამოთქვამენ. სახელმძღვანელოების დეფიციტი ბევრ პრობლემას ქმნის და სასწავლო პროცესსაც აფერხებს. დეფიციტი ყველაზე მეტად ეკონომიკისა და ბიზნესის, ასევე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე იგრძნობა. სწორედ ამ ფაკულტეტების სახელმძღვანელოები საჭიროებენ მუდმივად განახლებას, რადგან, სხვა ფუნდამენტური მეცნიერებებისგან განსხვავებით, ეს მიმართულებები უახლესი ინფორმაციების სწრაფ დაუფლებას მოითხოვს.

სახელმძღვანელოების დეფიციტის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად უნივერსიტეტში ღონისძიებები მიმდინარეობს. ამის თაობაზე ვესაუბრეთ თსუ-ის რექტორის მოადგილეს შარბაქიანი პაპაძეს, რომელიც ამ საქმეს კურირებს.

— სასწავლო ლიტერატურის დეფიციტი არა მარტო ჩვენი უნივერსიტეტის, არამედ თითქმის ყველა სასწავლო დაწესებულების პრობლემაა. ამ საკითხის გადასაჭრელად, თსუ-ის ადმინისტრაციამ შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ფაკულტეტების, თსუ-ის გამომცემლობისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლები. ამ საქმიანობის ეფექტურად განხორციელებისთვის თითოეულ ფაკულტეტს გამოეყო თანაბარი დაფინანსება 50 000 ლარის ფარგლებში.

2-3 თვის განმავლობაში ფაკულტეტების ადმინისტრაციის მიერ მიმდინარეობდა იმ უცხოური სასწავლო ლიტერატურის შერჩევა, რომლის თარგმნაც პირველ რიგში უნდა მოხდეს. პირველ ეტაპზე 20-მდე სახელმძღვანელო გამოიკვეთა. მედიცინის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტებზე დასახელდა ოთხ-ოთხი სახელმძღვანელო, ხოლო იურიდიულ, სოციალურ-პოლიტიკურ და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტებზე — ორ-ორი სახელმძღვანელო. ამის შემდეგ დაიწყო და ამჟამადაც გრძელდება მოლაპარაკება იმ გამომცემლობებთან, რომლებიც ფლობენ შესაბამის საავტორო უფლებებს. დღეისთვის მდგომარეობა ასეთია: ითარგმნა და უკვე დაისტამბა 1 სახელმძღვანელო მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის. მისი თარგმნისთვის ლიცენზიის მოპოვება მედიცინის ფაკულტეტმა გაცილებით ადრე დაიწყო. გასათვალისწინებელია ლიცენზიის მოპოვების თემაც, რომელსაც, დაახლოებით, 4-6 თვე სჭირდება, რაც სახელმძღვანელოს გამოცემას აჭიანურებს. აღსანიშნავია, რომ მოვიპოვეთ ლიცენზია 12 სახელმძღვანელოს გამოცემისათვის და ახლა მათი თარგმნა მიმდინარეობს. 3 წიგნთან დაკავშირებით კი ხელშე-



კრულების გაფორმების პროცედურები ხორციელდება. ვიმედოვნებთ, რომ ამ წლის ბოლოსათვის მზად იქნება 3-4 სახელმძღვანელოს თარგმანი...

ამ სახელმძღვანელოების თარგმნასა და გამოცემას ფინანსურად მთლიანად თსუ უზრუნველყოფს?

— რა თქმა უნდა, თითოეული ფაკულტეტისთვის 50 000 ლარი გამოიყო. ამ თანხის ფარგლებში ხდება მათი თარგმნაც და გამოცემა. ფაკულტეტი თვითონ წყვეტს, რა ლიტერატურა მათთვის პრიორიტეტულია. ამის შემდეგ იწყება მთარგმნელობითი სამუშაოები, ხდება სპეციალისტების მოწვევა. ამ პროცესში აქტიურად არის ჩართული თსუ-ის აკადემიური პერსონალიც.

რა პრობლემები იჩენს თავს მუშაობის პროცესში?

— არის ერთი პრობლემა, რომელიც გადაჭრის ალტერნატიულ გზას მოითხოვს. მაგალითად, სახელმძღვანელოს, რომელიც უკვე ვითარგმნით და გამოვიცით, მყიდველი არ ჰყავს! წიგნი 30 ლარი ღირს და სტუდენტს მისი შეძენა სიძვირის გამო უჭირს. ამიტომ გადაწყვიტეთ, წიგნების მხოლოდ ის რაოდენობა გამოვიყენოთ, რომელსაც მყიდველი ეყოლება, ნაწილი კი ელექტრონული ფორმატით შევთავაზოთ სტუდენტებს. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, საავტორო უფლება დაცული იქნება. ჩვენ ვიღებთ პასუხისმგებლობას, რომ გამოცემის დუბლირება არ მოხდება.

სხვა უნივერსიტეტებს თუ ექნებათ შესაძლებლობა, ამ სახელმძღვანელოებით ისარგებლონ?

— რა თქმა უნდა. ეს სახელმძღვანელოები უნივერსიტეტის გამომცემლობაში დაიბეჭდება და აქედან მოხდება მათი რეალიზაცია, მხოლოდ იმ პირობით, რომ არ მოხდება მათი დუბლირება.

ესაუბრა თამარ დადიანი

2014 წელს გამოცემული წიგნები

შურთხია გაროშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის მისია, დაარსებიდან დღემდე, სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმის განვითარების ხელშეწყობაა. შეიძლება ითქვას, რომ დღეს თსუ-ის გამომცემლობა ახალი გამოწვევების წინაშე დგას: სახელმძღვანელოები და სამეცნიერო ნაშრომები, რომელიც აქ იბეჭდება, როგორც ხარისხით, ისე შინაარსით უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო ნორმებს, გამოცემული ლიტერატურა კი ხელს უნდა უწყობდეს უნივერსიტეტში კვლევებისა და სწავლების თანამედროვე სტანდარტების დამკვიდრებას. გამომცემლობის დირექტორის თათია ებრალიძე აღნიშნავს, რომ თსუ-ის გამომცემლობა წელიწადში, დაახლოებით, 50-მდე წიგნს გამოსცემს, ძირითადად კი, სახ-

ელმძღვანელოებს და სამეცნიერო ლიტერატურას: ლექსიკონებს, ცნობარებს, დარგობრივ ლიტერატურას და პერიოდულ გამოცემებს. გარდა ამისა, გამომცემლობა ახორციელებს კომერციულ პროექტებსაც, რომლის ფარგლებში გამოიცემა საბავშვო წიგნები, ალბომები და გზამკვლევები, თანამედროვე ლიტერატურის ნიმუშები, ქართული კლასიკური ტექსტები, ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურა და სხვა. წელს თსუ-ის გამომცემლობამ მრავალი საინტერესო პროექტი განახორციელა. გამოიცა ისეთი მნიშვნელოვანი ნაშრომები, როგორც არის: „პრაქტიკული რეკომენდაციები ეკონომიკურ საკითხებზე“, „პრომოტეს მემკვიდრე“ (ავტორი ოთარ ბაქაბიძე), „თურქეთის საგარეო პოლიტიკა“, „შინის სალი აზრი აბდომნურ ქირურგიაში“, „სოციალური ახსნის მრავალფეროვნება“ „შესავალი სოციალურ

მეცნიერებათა ფილოსოფიაში“, „გონება ამარცხებს კაპიტალს“ (გიუნტერ ფალტინი), „ქართული ლექსთმცოდნეობა“, „სორის წმიდა გიორგის ეკლესიის მოხატულობა“, „გარდასულ დღეთა, კაცისა და პოეტის გამო“ (რევაზ გაჩეჩილაძე), „მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი“ (გივი გაჩეჩილაძე), „იურიდიული ტერმინოლოგიის რუსულ-ქართული ლექსიკონი-ცნობარი“ და სხვა. გამომცემლობის დირექტორის თათია ებრალიძის თქმით, მთავარ პრიორიტეტად მანაც სახელმძღვანელოების გამოცემა რჩება. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტის გამომცემლობამ მოიპოვა უფლება ქართულ ენაზე ითარგმნოს ის სახელმძღვანელოები, რომელიც დღემდე ხელმოუწვდომელი იყო ქართველი სტუდენტებისთვის, მათგან მნიშვნელოვანია: შინის „სალი აზრი გადაუდებელ აბდომნურ ქირურგიაში“, „ელექტრომგნიტუ-

რი თეორიის საფუძვლები“, „საერთაშორისო ეკონომიკის თეორია და პოლიტიკა“, „სოციალური კვლევის მეთოდები: ხარისხობრივი და რაოდენობრივი მიდგომა“, „საერთაშორისო ეკონომიკის თეორიისა და პოლიტიკის სახელმძღვანელო“, „ინსტიტუციური სამართლის შესავალი“, „სოციალური კვლევა“, „ინტელექტუალური საკუთრების ეკონომიკური კანონი“, „არქეოლოგია“, ჰარისონის „შინაგანი სწეულებანი“ და სხვა. გამომცემლის ხელმძღვანელის აზრით, სასურველია, სახელმძღვანელოები ყველა სტუდენტისთვის იყოს ხელმისაწვდომი. „მართალია, ევროპასთან შედარებით, ჩვენთან წიგნი შედარებით იაფია, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი შეძენა მანაც ყველას არ შეუძლია. მომავალში იქნებ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დახმარებით გამოიყოს სტუდენტებისთვის ვაუჩერები, რომლითაც იგი შეძ-



ლებს სასურველი წიგნის შეძენას. თსუ-ის გამომცემლობა მზად არის — ყველა მნიშვნელოვან ნამოსყებას მხარი დაუჭიროს“.

რეპორაჟის 1 ნაწილი

გვესაუბრება თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა



მერვე გვერდიდან

სიასლუ აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამომცხადებული კონკურსების შესახებ

ლადო პაპავა: „ძალიან რთული პრობლემა გახლავთ აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსები. აკადემიური საბჭოს მხარდაჭერით ჩვენ შევიტანეთ რამდენიმე ცვლილება პროფესორის არჩევის წესთან დაკავშირებით, რამაც მეტი საჯაროობა უზრუნველყო, მაგრამ ამ წესს სრულყოფა სჭირდება. 2014 წლის შემოდგომაზე იურიდიულ დეპარტამენტთან ერთად ჩვენ დავინყეთ მუშაობა დამატებით ცვლილებებზე, რათა კიდევ უფრო მკაფიო გახდეს საარჩევნო პროცედურები და უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს ის ურთიერთვალდებულება, რომელიც აქვს, ერთი მხრივ, კონკურსში მონაწილეს და, მეორე მხრივ, საკონკურსო კომისიას. თუკი ზამთრისთვის გამოცხადდება კონკურსები, იგი უნდა გაიმართოს ახალი სისტემით. მიმართა, რომ კომისიები დაკომპლექტებული უნდა იყოს არა მხოლოდ ჩვენი უნივერსიტეტის, არამედ სხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლებითაც. ჩვენ ვაპირებთ, რომ უფრო მკაფიო გახდეს მოთხოვნები — თუ რას ნიშნავს სამეცნიერო საქმიანობა, რამდენად აუცილებელია სამეცნიერო პუბლიკაციების დაბეჭდვა სერიოზულ უცხოურ ჟურნალებში და ა.შ.

დემიური პერსონალის ძირითად შემადგენლობას საკონკურსო ვადა ეწერება. ამჟამად არჩეულ 55 პროფესორს შორის 22-ია, ვინც უნივერსიტეტში დაბრუნდა საქმიანობის წყვეტის შემდეგ, რაც ამ კონკურსების შედეგად გამარჯვებულ ადამიანთა 40%-ს შეადგენს. მართალია, ყველამ, ვისაც უნივერსიტეტში დაბრუნების სურვილი ჰქონდა, ვერ მოახერხა კონკურსში გამარჯვება, მაგრამ ის მაჩვენებელი, რაც სახეზე გვაქვს, საკმაოდ კარგია. ვფიქრობ, ეს სტატისტიკა კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ უნივერსიტეტი ღია ორგანიზაციაა და რომ ყველასთვის შესაძლებელია კონკურსში გამარჯვების გზით დაბრუნდეს უნივერსიტეტში, მათ შორის ისინიც, ვინც უნივერსიტეტიდან სხვადასხვა მიზეზთა გამო, სხვადასხვა დროს წავიდა.


55 პროფესორს შორის 22-ია, ვინც უნივერსიტეტში დაბრუნდა.

რაც შეეხება სასამართლოს გზით უნივერსიტეტში დაბრუნებულებს, ერთი წლის განმავლობაში 7-მა თანამშრომელმა აღიდგინა შრომითი ხელშეკრულება. ეს პროცესი გაგრძელდება და ყველა იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ დავრწმუნდებით, რომ მომჩივანი მხარე არის სამართლიანი, უნივერსიტეტი შეწყვეტს სასამართლო დავას და ისინი შეძლებენ უნივერსიტეტში დაბრუნებას. ხოლო თუ ჩავთვლით, რომ მომჩივანი მხარე არ არის მართალი, მაშინ სასამართლო დავას გავაგრძელებთ, ვიდრე სიმართლეს არ დავადასტურებთ“.

ერთი წლის განმავლობაში საკონკურსო წესით აკადემიური თანამდებობა დაიკავა 55 ადამიანმა. მასობრივი კონკურსები უნივერსიტეტში დაგეგმილია 2017-2018 წლებში, როდესაც აკადემიური პერსონალის სტრუქტურის გაჯანსაღება — ეს არის პრობლემა, რომელიც აკადემიური ეთიკის დარღვევასთან არის დაკავშირებული, ვგულისხმობ პლაგიატს, კომპილაციას, შედეგების გაყალბებას და ა.შ. სამწუხაროდ, ასეთ ფაქტებს უნივერსიტეტში ადგილი აქვს. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დებულების მიღებას „აკადემიური ეთიკის დარღვევის შესახებ“. ამჟამად უკვე განხილვა 3 საქმე. ჩვენ ნამდვილად არ გავუნებთ პროვოცირებას ახალ საქმეებს, მაგრამ გაძლევთ პირობას, რომ გადანაცვლებას დებულების შესაბამისად მივიღებთ ყველა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც დაადასტურებს აკადემიური ეთიკის დარღვევას. როგორი ოდითხანით უნდა იყოს პროფესორი, თუ მას ეს დარღვევა გამოუშპარავდება, მას შესაბამისი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრება. ამით მივალწევთ იმას, რომ ერთხელ და სამუდამოდ უნივერსიტეტიდან გაიღვენონ პლაგიატორები“.



ვლადიმერ პაპავის გამომცხადებული პროფესორის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრება



კომისია პრაქტიკულად უქვეყნებდა 3 საქმეს განხილვას. აკადემიური ეთიკის დარღვევა დაუშვებელია!

თსუ-ში საინჟინრო სკოლა იქმნება



ამერიკული პროექტის (ათასწლეულის გამოწვევა საქართველოში) ფარგლებში, უნივერსიტეტის ისტორიაში პირველად, ახალი საინჟინრო სკოლა იქმნება, რომელიც საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში განხორციელდება და მათ შორის თსუ-შიც. „ახალი საინჟინრო სკოლის ფარგლებში სტუდენტები ჩვენთან შეისწავლიან ელექტრონულ ინჟინერიას, ბიოქიმიასა და კომპიუტერულ მეცნიერებებს. ამ პროექტს განხორციელებთ სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად. ამჟამად მიმდინარეობს სკოლის ჩამოყალიბების პროცესი. სკოლის დეკანი ამერიკიდან უკვე ჩამოსულია და ინტენსიურად ვმუშაობთ, რათა მოხდეს პროგრამის აკრედიტაცია არა მხოლოდ ქართული სისტემით, არამედ ამერიკული სისტემითაც. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პროგრამის გავლის შემდეგ სტუდენტი არა მხოლოდ ქართულ სისტემაში აღიარებულ კვალიფიკაციას მიიღებს, არამედ აშშ-ში აღიარებულსაც. როგორც ცნობილია, თანამედროვე ეკონომიკა ვერ განვითარდება ინოვაციური კომპონენტის გარეშე, ასე რომ, უნივერსიტეტი პასუხობს ამ გამოწვევას. მინდა, მაგალითად გავადასტუროთ საქართველოს მთავრობას — განსაკუთრებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ეკონომიკის, ფინანსთა, იუსტიციის სამინისტროებს და, რა თქმა უნდა, საგარეო საქმეთა სამინისტროს იმ მხარდაჭერისთვის, რაც მათ ამ პროექტის განხორციელების მხრივ ჩვენთვის გააკეთეს. მათი ძალისხმევით გარეშე ეს პროგრამა, შესაძლოა, საერთოდ არ შემდგარიყო“, — განაცხადა რექტორმა ლადო პაპავამ.

გა-10 გვერდზე





რეკონსტრუქციის 1 ნაბიჯი

მეცხრე გვერდიდან

მოკლედ

რა გაკეთდა? რა დაიგეგმა?

- ეკონომიკის ფაქულტეტთან ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ინტეგრაცია 2015-2016 წლისთვის იგეგმება.
- წლის განმავლობაში უნივერსიტეტში ამოქმედდა 15 ახალი საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის: სამაგისტრო პროგრამა — „დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია“; სადოქტორო პროგრამები — „არქეოლოგია და პალეოანთროპოლოგია“ და „პირუვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგია“; საერთაშორისო სადოქტორო პროგრამა — „მედიცინის მართვა“.
- სტუდენტთა ნახალისებისთვის პრაქტიკულ გეგმვებზე ვიზუალური ინფორმაციით დაწესდა საპროექტო პირველი პრაქტიკის ზონად გამსახურდინას სახელობის სტიპენდია ქართული ფილოლოგიის მიმართულების სამივე საფაკულტეტის სტუდენტებისთვის, ასევე რეკონსტრუქციის ლაბორატორიის ინფორმაციით, დაწესდა რეკონსტრუქციის სტიპენდია გაკლავრიატის საუკეთესო სტუდენტებისთვის.
- მომზადდა ადმინისტრაციული და აკადემიური მოდერნიზაციის კონცეფცია. მიმდინარეობს მუშაობა მისი რეალიზაციის გეგმვაზე.
- მომზადდა უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების ახალი გეგმა.
- მცენარეობის კონტაქტის გაკლავრების მიზნით ცვლილება შევიდა თსუ-ის წესდებაში, რის საფუძველზეც ყველა ფაქულტეტის დაკანს ეყოლება 2 მოადგილე სასწავლო და სამეცნიერო დარგში.
- გაფორმდა და განაწესდა თანამშრომლების 27 ხელშეკრულება უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.
- უნივერსიტეტის მონაწილეობით იგეგმება ქართული შრიფტების ლაბორატორია.
- უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ფოიეში გაიხსნა ნიჟინის მემორიალი.



- შეიქმნა გამორჩეული უნივერსიტეტების ღვაწლის დაფასების კომისია.
- უნივერსიტეტის კანტინაში გადმოასვენეს იოსებ ყიფშიძის ნეკროპოლი, წლის ბოლომდე დაიდგება მისი კაპლი.
- მიმდინარეობს ბიუსტის აღდგენა და განთავსება უნივერსიტეტის კორპუსების ფოიეებში.
- უნივერსიტეტის ეზოში დაიდგა მისი ერთ-ერთი დამფუძნებლის აკვტივია თაყაიშვილის კაპლი.



ექვთიმე თაყაიშვილის ძეგლი

ჩანართი მოამზადა ნინო კაკულიამ

პროგრამის ხელახლა ამოქმედება თსუ-ში სამართლიანობის აღდგენა



2006 წლის შემდეგ, პირველად, თსუ-ში სამაგისტრო პროგრამა „დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია“ ამოქმედდა. პროგრამას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი რევაზ გაჩეჩილაძე და საქართველოს დემოგრაფთა ასოციაციის ხელმძღვანელი ვაჟა ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობენ. „დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის“ მაგისტრანტებს თეორიული ცოდნის მიღების პარალელურად პრაქტიკული გამოცდილების მიღებაც შეეძლება. თსუ-სა და სტატისტიკის ეროვნულ ცენტრს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში ისინი აქტიურად ჩაერთვებიან მოსახლეობის საყოველთაო აღწერაში, რომელიც წელს არის დაგეგმილი. ასევე მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს დემოგრაფთა ასოციაციის კვლევებში და ექნებათ შესაძლებლობა სამეცნიერო ნაშრომები გამოაქვეყნონ რეფერირებად ჟურნალებში „დემოგრაფია“, რომელსაც ასოციაცია უკვე 17 წელია გამოსცემს. იგი ვრცელდება 20 ქვეყანაში და დემოგრაფიის მეცნიერების წრეებში კარგი ავტორიტეტით სარგებლობს. მაგისტრანტები ჩაერთვებიან დემოგრაფიული განვითარების მხარდაჭერ სახელმწიფო ფონდში, რომელიც პარლამენტის სოციალურ საკითხთა კომიტეტის ბაზაზეა ჩამოყალიბებული. მისი წევრები არიან როგორც მეცნიერები, ასევე ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლებიც. აღნიშნულ ფონდსა და თსუ-ს შორის უკვე გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება, რის საფუძველზეც სტუდენტები მათ მიერ წარმოებულ კვლევებშიც მიიღებენ მონაწილეობას. „დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის“ 5 მაგისტრანტს სრულიად დაფინანსებს საქართველოს დემოგრაფთა ასოციაცია, რადგან სასწავლო პროცესის დაწყებამდე პროგრამის აკრედიტაციის პროცესი ვერ დასრულდა. მომავალი წლიდან კი მაგისტრანტების დაფინანსების საკითხი სახელმწიფო საგრანტო სისტემის ფარგლებში მოექცევა. „ჩვენს ქვეყანაში არის უმწვავესი დემოგრაფიული ვითარება. მთელი მსოფლიოს წინაშე დგას ერთი პრობლემა — მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა (ყოველ წელს პლანეტაზე 100 მილიონით მატულობს). საქართველოში კი საპირისპირო მდგომარეობაა — ბოლო 15-20 წლის მანძილზე მოსახლეობის რაოდენობა 20%-ით შემცირდა. არსებობს გაეროს, სხვადასხვა მეცნიერების,

მათი შორის ქართველი ექსპერტების პროგნოზი, რომ თუ ასე გაგრძელდა, ქართველი მოსახლეობის რაოდენობა, ყველაზე ცუდ შემთხვევაში, შეიძლება 3 მილიონამდე დაეცეს. ასევე მატულობს ხანდაზმულთა რაოდენობა, ანუ საქართველოს მოსახლეობა დემოგრაფიულად დაბერებულია. თუ დასავლეთში ერთ პენსიონერზე 3 დასაქმებული მოდის, აქ პირიქით ხდება. ძალიან მცირდება შობადობა. სახელმწიფო და საპატრიარქოც უკვე ამახვილებს ამ საკითხზე ყურადღებას, თუმცა ასეთი რთული დემოგრაფიული ვითარების დროს საქართველოში არ ხდება პროფესიონალი დემოგრაფი კადრების აღზრდა. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ სამაგისტრო პროგრამის ამოქმედება, რათა დაგვეწყოს სპეციალისტების მომზადება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველად ეს პროგრამა 2000 წელს დაარსდა, მჭიდრო ურთიერთობები გვქონდა და სტუდენტებსაც გაცვლითი პროგრამით ვაგზავნიდით ვაშინგტონის, პარიზის და კაიროს დემოგრაფიულ ცენტრებში, თუმცა 2006 წლის ცვლილებებს ეს კათედრა შეეწირა (ყოველგვარი არგუმენტების გარეშე). პროგრამის ხელახლა ამოქმედება სამართლიანობის აღდგენაა. ძალიან მაღალი ვარ თსუ-ის რექტორის, ბატონ ლადო პაპავასი. მან კარგად იცის დემოგრაფიული პრობლემის შესახებ და მისი მხარდაჭერით შევძელით სამაგისტრო პროგრამის გახსნა საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების მიხედვით, რადგან ეს ორი მეცნიერება ძალიან მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან“, — განაცხადა სამაგისტრო პროგრამის „დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია“ ხელმძღვანელმა ვაჟა ლორთქიფანიძემ. სამაგისტრო პროგრამაზე „დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია“ ყოველ წელს 8-10 სტუდენტის მიღებაა შესაძლებელი. ვაჟა ლორთქიფანიძის ინფორმაციით, მათი დასაქმებაც გარანტირებულია, რადგან პროფესიონალი დემოგრაფების კადრებზე მოთხოვნა უკვე არსებობს. პროგრამის ხელმძღვანელები გეგმავენ საზღვარგარეთის დემოგრაფიულ ცენტრებთან ურთიერთობის აღდგენასაც. უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, რომელიც ამ პროცესის ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერი იქნება.

მომზადა ნატო ოპოლასამ

გივი ბაჩილიაძის 100 წლის იუბილე



ვინ თარგმნა ასე შესანიშნავად?!

18 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დიდი ქართველი მეცნიერი, პოეტი, მთარგმნელი და მხატვრული თარგმანის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი გივი ბაჩილიაძე გაიხსენა. მისი დაბადებიდან 100 წლისთავზე თავი მოიპარას იმ მეცნიერებათა, მწერლობა, პოეტიკა და სტუდენტობა, რომლებსაც გატონი გივის მეცნიერულ თუ შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებული უნდა იყოს.


ლონისძიებები, რომელიც ამ თარიღს მიეძღვნა, მისი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. მის ფარგლებში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, გივი ბაჩილიაძის ცხოვრების ამსახველი ფოტოების, დოკუმენტების, ხელნაწერების, თარგმანების, გამოკვლევების, მემორიალური ნივთების გამოფენა და საიუბილეო საღამო, რომელზეც სპეციალურად ამ დღისთვის შექმნილი ფილმი ნარდ-ბინა მაყურებელს ავტორმა და რეჟისორმა ნინო კაპულიამ.

მანია ტორაძე

ახლა გვხვდება თაობისთვის, შესაძლოა, არც იყო ცნობილი, რა განძი დაუტოვა ლიტერატურას გივი ბაჩილიაძემ, რადგან იმ ასაკში, როცა შერეულის ტყის ბინადრებისა და რობინ ჰუდის საოცარ თავგადასავალს ვეცნობით, არ ვუყურებთ ყდის მეორე გვერდზე მოკრძალებულად მიწერილ მთარგმნელის სახელსა და გვარს. არც იმას ვკითხულობთ, ვინ თარგმნა ასე შესანიშნავად ბაირონი და ბერნი, შექსპირი და შელი, კიპლინგი და სტივენსონი, სკოტი და გოეთე, ჰიუგო და ჰორაციუსი... ამას მხოლოდ მერე, „დიდობაში“ ვიგებთ და ჩვენს შორის ყველაზე მაღლიერნი ქედს ვუხრით ადამიანს, რომელმაც ინგლისური, ფრანგული თუ რუსული ლიტერატურის ფერადოვნებას გვაზიარა.

სწორედ ეს ადამიანი იყო გივი ბაჩილიაძე, რომელმაც, გარდა მთარგმნელობითი საქმიანობისა, მოღვაწეობის ყველა სფეროში წარუშლელი კვალი დატოვა.

გივი ბაჩილიაძის ცხოვრება უკავშირდებოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობასაც. იგი სხვადასხვა დროს იყო თსუ-ის პროფესორი, ინგლისური ფილოლოგიის კათედრის გამგე. ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის მხატვრული თარგმანის სექციას, თარგმნა შე-



ქსპირის სონეტები და პიესები, ასევე, ბრიტანელი, ამერიკელი, რომელი, ფრანგი, გერმანელი, რუსი პოეტების ნაწარმოებები. ხოლო 1959 წელს გამოცემული მისი მონოგრაფია „მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები“ მართლაც საეტაპო მნიშვნელობისა და უნივერსიტეტში დღესაც უცვლელი სახით ინახვება რამდენიმე საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე.

მხატვრული თარგმანის გივი ბაჩილიაძისეულმა თეორიამ თავის დროზე დიდი გამოხმაურება ჰპოვა სამეცნიერო სამყაროში. მისი ინიციატივით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1960 წელს შეიქმნა მხატვრული თარგმანის სპეციალობა, რომელსაც არაერთი ცნობილი მოღვაწე დაეუფლა. იგი გახლდათ საქართველოს მწერალთა კავშირის მთარგმნელთა სექციის თავმჯდომარე, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში...

1972 წელს გამოიცა გივი ბაჩილიაძის რუსულენოვანი მონოგრაფია: „მხატვრული თარგმანი და ლიტერატურული ურთიერთობები“, რომელმაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა სამეცნიერო წრეებში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი ღვაწლი საქართველოში თარგმანის თეორიის – როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის დაარსების საქმეში.

საიუბილეო დღეებში მკითხველს კიდევ ერთხელ მიეცა საშუალება მიახლოებოდა გივი ბაჩილიაძის შემოქმედებას. ვინც იცნობდა, კიდევ ერთხელ დამტკბარიყო მისი პოეზიით და თარგმანებით, ვინც არა — მის ნააზრევს ახლახან გამოცემულ წიგნში — „მარადიული ხმები“ — გასცნობოდა.

საერთაშორისო კონფერენცია

18 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა მთარგმნელის, პოეტისა და მხატვრული თარგმანის თეორეტიკოსის გივი ბაჩილიაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია — „მხატვრული თარგმანი - ერებისა და ლიტერატურების შეხვედრის ადგილი“.

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა დარეჯან თვალთვაძემ შესავალ სიტყვაში კიდევ ერთხელ გაიხსენა ცნობილი ქართველი მთარგმნელის, ლიტერატორის, ლიტერატურის კრიტიკოსისა და თარგმანის თეორეტიკოსის გივი ბაჩილიაძის ღვაწლი და აღნიშნა, რომ ძნელად მოიძებნება ფილოლოგიის დარგი, რომლის განვითარებაშიც გივი ბაჩილიაძეს ღვაწლი არ მიუძღოდეს. „ბატონმა გივიმ ძალიან ბევრ

დარგში თქვა თავისი სიტყვა და ისეთი სიტყვა თქვა, რომ დღეს, მისი გარდაცვალებიდან ამდენი ხნის შემდეგაც, კოლეგები მის ნაწარმოებს, როგორც სამაგიდო წიგნებს, ხოლო სტუდენტები — როგორც სახელმძღვანელოებს. ეს იმის ნიშანია, რომ გივი ბაჩილიაძის შემოქმედება, მისი მეცნიერული მოღვაწეობა დღესაც ცოცხალია“, — განაცხადა მან.

მეცნიერის მეცნიერებათა დანერგვით მიმოიხილა უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ლადო პაპავამ, რომელმაც აღნიშნა, რომ გივი ბაჩილიაძის უმდიდრესი მემკვიდრეობიდან ერთ-ერთი გამორჩეულია მისი მთარგმნელობითი სკოლა, რომელიც არა მხოლოდ უნივერსიტეტისთვის, არამედ ქართული კულტურისთვისაა ფასდაუდებელი. „მის კალამს ეკუთვნის არა ერთი შესანიშნავი თარგმანი ცნობილი პოეტური და პროზაული ლიტერატურული ნაწარმოებისა, რითაც გაამდიდრა ქართული კულტურა. ამას გარდა, მან გამოსცა არა ერთი შესანიშნავი სახელმძღვანელო, რომელიც დღესაც გამოიყენება სტუდენტებისთვის და გამოიყენება არა მარტო საქართველოში, რასაც ადასტურებს ამ კონფერენციაზე უცხოელ სტუმართა რაოდენობაც. ეს კონფერენცია იქნება არა მხოლოდ გივი ბაჩილიაძის შემოქმედებისა-კენ მიბრუნება, არამედ ახალი ხედვა და ახალი მიდგომები მხატვრულ

თარგმანში“, — აღნიშნა მან.

საერთაშორისო კონფერენცია — „მხატვრული თარგმანი — ერებისა და ლიტერატურების შეხვედრის ადგილი“, ორ დღეს მიმდინარეობდა და მის მუშაობაში, გარდა ქართველი მეცნიერებისა, მონაწილეობდნენ მეცნიერები რუსეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიდან, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებიდან და თურქეთიდან. მათ საზოგადოებას 60-მდე სამეცნიერო მოხსენება წარუდგინეს.

პირველ პლენარულ სხდომაზე განსაკუთრებით გამოიკვეთა ის მოხსენებები, რომლებშიც კარგად ჩანდა გივი ბაჩილიაძის დამოკიდებულება სამეცნიერო და შემოქმედებითი მოღვაწეობისადმი. განსაკუთრებით საინტერესო იყო თსუ-ის პროფესორის ოთარ ბაქანიძის მოხსენება „შემოქმედებისათვის მიძღვნილი სიცოცხლე“.

„ჩვენი თაობის ოცნება შენ გაანათე, ბაირონისა თუ შელის, ბერნისა თუ კიპლინგის, სტივენსონისა თუ სკოტის შედეგებით. შენ იყავი ინგლისური პოეზიის ფერად ზღვებში ჩვენი პირველი მეგზური და გზის მკვლევარი“, — მიმართავდა გამოჩენილ მთარგმნელსა და მეცნიერს სახელგანთავის პოეტი მურმან ლებანიძე და გამოხატავდა მისი თაობის ახალგაზრდობის საერთო აზრს, — ასე დაიწყო ოთარ ბაქანიძემ თავისი მოხსენება, რომელშიც დანერგვით მიმოიხილა გივი ბაჩილიაძის თარგმანები და მისი დამოკიდებულება თარგმნის ხელოვნებისადმი. განსაკუთრებით გამოიყო შექსპირის სონეტები და მთარგმნელის დამოკიდებულება ამ ნაწარმოებისადმი მისივე სიტყვებით გაამყარა: „სონეტებს სიყვარული მათარგმნიდა... სიყვარული საერთოდ სონეტებისადმი. უამისოდ არ შეიძლება. უსიყვარულოდ შექსპირის სონეტები გამოდის ჩალა, ფიტულა, რომელიც ჰგავს ფრინველს, მაგრამ სული არ უდგია და ვერ გაფრინდება, როგორი რიტმის ბუმბულე-ბითაც გინდა მორთო იგი“, — სწორედ თურმე გივი ბაჩილიაძე სონეტების თარგმნის შესახებ. „30-იან წლებში ქართველმა მკითხველმა პირველად გაიგონა გივი ბაჩილიაძის სახელი და, იმ დროიდან მოყოლებული, სიცოცხლის ბოლომდე ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობას სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობასთან ერთად. მისმა მოღვაწეობამ მოუტანა მას დიდება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში“, — აღნიშნა ოთარ ბაქანიძემ.

პლენარულ სხდომაზე პროფესორმა მანანა გელაშვილმა წარადგინა მოხსენება: „გივი ბაჩილიაძე: თარგმანის თეორია და პრაქტიკა“, რომელშიც გაანალიზა



გივი გაჩეჩილაძის 100 წლის იუბილე



ვინ თარგმნა ასე შესანიშნავად?!

მეთორმეტე გვერდიდან

მთარგმნელის შემოქმედება მისივე თეორიის ჭრილობაში. აჩვენა, თუ რა როლი შეასრულა გივი გაჩეჩილაძის, როგორც მთარგმნელის, გამოცდილებამ თარგმანის თეორიის იმ ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბებაში, რომლებიც მისი წიგნის გამოქვეყნებიდან მრავალი წლის შემდეგაც არ კარგავს აქტუალობას. საინტერესო მოხსენება წარადგინა კრიტიკოსმა ლევან ბრეგვაძემ, რომელმაც მიმოიხილა გივი გაჩეჩილაძის შეხედულებები ანდაზების თარგმანის თაობაზე, რაც შეუპირისპირა თანამედროვე მთარგმნელობით პრაქტიკასაც. „გივი გაჩეჩილაძე ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ზოგიერთი ანდაზა შესაძლოა სოციალური ელფერიტაც იყოს აღბეჭდილი... ასეთ შემთხვევაში საჭიროა „მხატვრული სახე გადმოვიტანოთ მისი აზრის მიხედვით, მაგრამ შევეცადოთ, მივცეთ დედნის მსგავსი სტილისტური ნიუანსი; მაგალითად, თუ ის დედნში ანდაზა, თარგმანშიც უნდა ჰგავდეს ანდაზას თავისი ფორმით“, — აღნიშნა მომხსენებელმა, რომელმაც გივი გაჩეჩილაძის ამ მითითების ფონზე მიმოიხილა ქართული თარგმანები, განსაკუთრებით ანდაზები. მის მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ: „ანდაზების მრავალ ჩინებულ, შემოქმედებით მიდგომით შესრულებულ თარგმანთა გვერდით ისეთი თარგმანებიც გვხვდება, როდესაც მთარგმნელები ვერ ახერხებენ მათ წინაშე მდგარი სინდელეების წარმატებით დაძლევას“.

კონფერენციაზე იმუშავა რამდენიმე სექციამ: „თარგმანის სოციოკულტურული, ეთნოლინგვისტური და ფსიქოლინგვისტური ასპექტები“; „კულტურათმცოდნეობის კომუნიკაცია და კულტურათმცოდნეობის კომუნიკაცია და კულტურათმცოდნეობის კომუნიკაცია და კულტურათმცოდნეობის კომუნიკაცია და კულტურათმცოდნეობის კომუნიკაცია“; „ეკვივალენტობის პრობლემა თარგმანსა და ორენოვან ლექსიკოგრაფიაში“; „მხატვრული თარგმანი თანამედროვე მსოფლიოში და მისი განვითარების პერსპექტივები“; „თარგმანის ტრადიცია და თეორია“.

გამოჯანა

19 სექტემბერს, თსუ-ის მუზეუმის ორგანიზებით, გაიმართა ფოტოგამოფენა, რომელზეც წარმოდგენილ იყო გივი გაჩეჩილაძის ცხოვრების ამსახველი ფოტოები, დოკუმენტები, ხელნაწერები, თარგმანები, გამოკვლევები, მემორიალური ნივთები.

გამოფენაზე კიდევ ერთხელ ითქვა იმ დიდებული მემკვიდრეობის შესახებ, რომელსაც დღესაც დიდი ინტერესით ეცნობა მკითხველი. პროფესორმა მანანა გელაშვილმა მოკლედ მიმოიხილა გივი გაჩეჩილაძის შემოქმედება: „ბატონი გივის თარგმანი იყო ის, რაზეც ვიზრდებოდით მე და ჩემი თაობა. ჯერ იყო „შერვუდის ტყე“ თავისი ლეგენდარული რობინ ჰუდითა და მშვენიერი მერლინით, შემდეგ — მოტლანდიური მოთხრობები, მერე უკვე გაჩნდა ბაირონი, თავისი ლირიზმით და მელანქოლით, შექსპირის სონეტები და როდესაც ამას ვკითხულობდით, არ ვუყურებდით, ვინ იყო ამის მთარგმნელი. ის, რომ ამ არაჩვეულებრივ ლიტერატურულ სამყაროს მთარგმნელმა გივი გაჩეჩილაძემ გვაზიარა, მხოლოდ მერე გავაცნობიერე, როცა თვითონ დავიწყე რალაცების „ჩახანა“ და მივხვდი, რაოდენ რთულია თითოეული სტრიქონის გადმოტანა, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე პოეზიას შეეხება. გაცილებით გვიან გა-

ვეცანი ბატონ გივის, როგორც თარგმანის თეორიის ფუძემდებელს საქართველოში. ახლა, როცა დიდი დრო გავიდა და გამოცდილებაც წლებმა მოიტანა, ძალიან ჭირს იმის თქმა, რა უფრო მნიშვნელოვანია მის შემოქმედებაში — მისი თარგმანები თუ მისი მოღვაწეობა, როგორც მხატვრული თარგმანის თეორიის შემქმნელისა. თავად ამბობდა, რომ პოეტი, ვინც თარგმნის, მეტოქე უნდა იყოს იმ ნაწარმოების ავტორისა, რომელსაც თარგმნის. აბა, შეხედეთ, როგორი მეტოქეები ჰყავდა ბატონ გივის — შექსპირი, ბაირონი, ბერნსი... და როცა ამით ფონზე არ ისრისები და სხვა ენაზე ქმნი ისეთივე დონის ნაწარმოებს, როგორიც ავტორმა შექმნა, ესე იგი გენიალური მთარგმნელი ხარ“, — აღნიშნა ქალბატონმა მანანა გელაშვილმა.

გამოფენის დამთავლიერებელთა შორის იყვნენ გივი გაჩეჩილაძის შემოქმედების თაყვანისმცემლები, კოლეგები, ყოფილი სტუდენტები, მისი შვილები — თსუ-ის პროფესორ რევაზ გაჩეჩილაძისა და ცნობილი ჟურნალისტის, პროფესორ ზაზა გაჩეჩილაძის მეგობრები.

პროფესორი გივი გაჩეჩილაძე, როგორც ლექტორი და მასწავლებელი, გაიხსენა მისმა სტუდენტმა, კინორეჟისორმა ლანა ლოლობერიძემ, რომელმაც ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ გივი გაჩეჩილაძე მისი თაობის სტუდენტებისთვის იყო ფანჯარა ევროპისკენ თავისუფალი აზროვნებისკენ: „ჩემი ერთერთი პირველი მოგონება, რაც უნივერსიტეტს უკავშირდება, არის გივი გაჩეჩილაძე. მაშინ ფილოლოგიის ფაკულტეტის III კურსიდან ინგლისური ფილოლოგიაზე გადავედი და იქ დამხვდა ბატონი გივი. ეს იყო პერიოდი, როცა ცენტრურა მივინვარებდა და ასეთ დროს ბატონი გივი იყო თავისუფლებისკენ მიდრეკილების, ნამდვილი პოეზიისა და ლიტერატურის აღმოჩენის საყრდენი. მისი ძლიერი მხარდაჭერაც მახსოვს: როცა გადავწყვიტე, რომ ჯერ საკურსო და შემდეგ სადიპლომო ნაშრომი უოტმენის შემოქმედებაზე დამეწერა, მთელი კათედრა წინააღმდეგი წავიდა, რადგან მიაჩნდათ, რომ უიტმენი არ იყო საბჭოთა იდეოლოგიის გამტარებელი მწერალი. მაშინ სწორედ ბატონი გივი დამიდაგა გვერდში. იგი ძალიან მეხმარებოდა, დისერტაციაზე მუშაობის დროსაც. ხოლო ჩემს

პირველ წიგნზე ბატონმა გივიმ არაჩვეულებრივი რეცენზია დამიწერა. ის იყო ნამდვილი მოქალაქე და ძალიან კარგი პიროვნება, რომელსაც მუდამ სიყვარულით ვიხსენებ“, — გვითხრა ქალბატონმა ლანამ.

„თავსესაფარი - პოეტური თარგმანი“

ამავე დღეს თსუ-ის სააქტო დარბაზში გაიმართა საიუბილეო საღამო, რომელზეც ნაჩვენები იყო გივი გაჩეჩილაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ფილმი: „თავსესაფარი - პოეტური თარგმანი“ (ავტორი და რეჟისორი ნინო კაკულია).

ფილმმა კიდევ ერთხელ გაახსენა აუდიტორიას გივი გაჩეჩილაძის შემოქმედება და მისი ლექსები, რომელსაც საოცარი არტიზმივით კითხულობდა თავად ავტორი. მაყურებელი დარწმუნდა, რომ გივი გაჩეჩილაძისთვის პოეზია და მხატვრული თარგმანი სწორედ თავსესაფარი იყო.

ეს მოსაზრება კიდევ უფრო განამტკიცა საღამოს წამყვანმა, ისტორიკოსმა გია ჯონაძემ, რომელმაც გივი გაჩეჩილაძის პოეტური შემოქმედება მისივე ფრაზების გახმოვანებით მართლაც მხატვრულად წარმოადგინა.

„ძნელი სათქმელია, როდის ხდება პოეზიის მთარგმნელი, რომ პოეტი კი არა, მთარგმნელია და მას სამყაროსთან მხოლოდ სათარგმნ ავტორთა პირით საუბარი დაუდგინა ბედისწერამ“, — წერდა თურმე გივი გაჩეჩილაძე. მისი შემოქმედების კვლევისას კი აშკარა ხდება, რომ სწორედ ეს სხვათა სიტყვებით საუბარი იყო მისი თავსესაფარი, მისი ფარი და მახვილი... გივი გაჩეჩილაძეს მიაჩნდა, რომ ყველა ადამიანი იმ დროის შვილი უნდა იყოს, რომელშიც ცხოვრობს. ეს აზრი იკითხება მის სიტყვებშიც: „მე ვუყურებდი ანწყოს, როგორც შეცდომას და ბოროტებას, მაგრამ სწორედ მაშინ უნდა მეკეთებინა ყველაფერი... მე კი იმედით შევყურებდი მომავალს. მოვიდა ეს მომავალი, მაგრამ ჩემთვის — არა“.

გივი გაჩეჩილაძე, ადამიანი, რომელიც ერთნაირი სიმძაფრით აღიქვამდა პოეზიის რითმას და თარგმანის ხელოვნებას, შეეცა-

რებული იყო გალაკტიონზე: „როცა გალაკტიონს ვკითხულობ, თმაში ხელი მაქვს წავლებული და ვგრძნობ, რომ ვგვიდები. ვერ გავხედებ შემოქმედი ვუნოდო იმას, ვინც გალაკტიონის სიმალეს ვერ მიაღწევს“, — უთქვამს მას. ალბათ ამიტომაც, მოკრძალებით მიეახლებოდა რითმას და წერდა ადამიანთა მოდგმაზე, ხვალინდელ დღეზე, სიყვარულის პოეზიაზე:

„იცოდე, არსად მთელ ქვეყანაზე, არ არის ასე კარგი ზღაპარი, მზე გრძნობებს ასე არსად ანაზებს, წარსულის ყდაზე გადანაფარი. მზის და ფოთლების ასეთი ჩრდილი, არ არის არსად ამ ქვეყნის გარეთ, არც სიძულვილი — ასეთი ტკბილი, არც სიყვარული — ასეთი მწარე.“


ასეთი ადამიანების ღვაწლი არასოდეს იშლება. რამდენჯერაც ხელში ავიღებთ რობინ ჰუდსა და შექსპირის სონეტებს, იმდენჯერ თვალწინ უნდა დაგვიდგეს კაცი, რომელიც ამქვეყნიდან ადრე წავიდა, მაგრამ დატოვა მემკვიდრეობა, რომელზეც, ვინ იცის, კიდევ რამდენი თაობა გაიზრდება...



66-ე სონეტი

ვქაჩნი სიკვდილს; დაქანცულმა როგორ ვუზირო მათხოვრად შოპილს და დათრგუნულს ქვეყნად ღირსებას; როგორ ნთქავს ნდობას სიცივის ზღვა, ვრცალი, უპირი სულით დატაკი ზღვა სიმდიდრით როგორ ივსება! უღირსს პატივი მივაგება დაგომის ნაცვლად, და დავნილია ჭეშმარიტი სრულყოფილება, და უზინოვა გათელილა უხეხად, მკაცრად, და კლიარება უპლურებას ემორჩილება, და ხალოვნებას ბრძანებებით დაგმია ენა, და ბრძანად გვაჩვენებს თავს რეპრენი გამოგრძობილი, და სისულელად ეჩვენება სიმართლა სმანას და თავის მონად უქცევიან ბოროტს კეთილი, დაქანცული ვარ და სიცივსეა არ მსურს სრულაპით მარამ ვარ ვტოვებ, რადგან ქვეყნად უნე მიგულები...

შექსპირი, 66-ე სონეტი
თარგმნა გივი გაჩეჩილაძემ, 1940-იანი წლები



ნეიროფსიქოლოგი - თავის ტვინისა და ფსიქიკის მკვლევარი

მეთერთმეტე გვერდიდან

მექანიზმები, ამიტომ ჩვენ სწორედ ტვინის ძლიერ მხარეებზე ვაგებთ რეაბილიტაციის პროცესს.

ეს ხანგრძლივი პროცესია?

— ამის წინასწარმეტყველება ძნელია. მაგალითად, წერა-კითხვის სწავლება, ან მოზრდილისათვის მეტყველების სწავლება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული: იმაზე, თუ როგორია თავის ტვინის დაზიანება მოზრდილის შემთხვევაში, რამდენი წლის არის პაციენტი, რადგან ხანშიშესულია ადამიანის რეაბილიტაცია, ბუნებრივად, უფრო რთულია. სისხლის მიმოქცევის მოქმედება და ტრავმების შემთხვევაში, ვარკვევით, რამხელაა ტვინის დაზიანება, თუმცა, მინდა გითხრათ, რომ ტვინის დაზიანების სიდიდე ზოგჯერ შეიძლება არც იყოს გადაწყვეტი, მნიშვნელოვანია, როგორ იყო ადამიანის განვითარების დონე ტრავმამდე: დაზიანების სიდიდეს აკონპენსირებს გამოცდილება. შესაბამისად, ადამიანს

თუ დაავადებამდე ინტელექტი ჰქონდა ძალიან მაღალი, მას კომპენსატორული მექანიზმები მეტი აქვს. მაგალითისთვის გეტყვით, რომ გვექონდა უმძიმესი შემთხვევა, როდესაც ახალგაზრდას, რომელსაც ძალიან მაღალი ინტელექტუალური შესაძლებლობები და განათლება ჰქონდა, ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული გამჭოლი ჭრილობის შედეგად თითქმის მთლიანად დაუზიანდა შუბლის ტვინი, მისი გადარჩენა მოხერხდა, თუმცა იგი აბსოლუტურად უზუნარიო იყო — ვერ მეტყველებდა, არ იყო კონტაქტური. ჩვენთან ხანგრძლივი სარეაბილიტაციო კურსის გავლის შემდეგ დღეს ჩვეულებრივად მეტყველებს, მოძრაობს და ცხოვრობს, არაფრით განსხვავდება რიგითი ადამიანებისგან. მას სწორედ თავდაპირველი მაღალი დონე დაეხმარა, რომ დაბრუნებოდა ნორმალურ ცხოვრებას, თუმცა, აქვე ვიტყვი, შეუძლებელია თავდაპირველი დონის აღდგენა. მრავალი შემთხვევა გვექონდა, განსაკუთრებით ავტოკატა-

სტროფის შემდეგ დაზიანებული ადამიანების რეაბილიტაციისა, როდესაც უმძიმესი მდგომარეობიდან ისინი დაუბრუნდნენ ნორმალურ ადამიანურ ცხოვრებას. მართალია, თავად ამბობენ, რომ ისეთები ვეღარ არიან, როგორც თავის ტვინის დაზიანებამდე, მაგრამ ეს მართო მათ იცინ. უნდა ვთქვათ, რომ თავის ტვინის დაზიანება ისეთი რამაა, როდესაც, განსხვავებით სხვა ორგანოების დაზიანებისგან, ადამიანი ხშირად იდენტობას კარგავს. იყო შემთხვევა, როდესაც ტრავმირებული ადამიანი ხატავდა საკუთარ სახეს ნაკეთების გარეშე. რეაბილიტაციის შემდეგ, როდესაც ვკითხეთ ამის მიზეზი, გვიპასუხა: „აბა როგორ უნდა დამეხატა, მე ხომ მე არ ვიყავი?!“. ამიტომ, ნეიროფსიქოლოგს ფსიქოთერაპევტის ფუნქციების შეთავსებაც უხდება. ჩვენ მთლიანად პიროვნებას ვეხმარებით, რომ მან დაკარგული იდენტობა დაიბრუნოს, საკუთარ თავთან კონტაქტი აღადგინოს. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც შეიძლება ადამიანი ვერ

გამოჯანმრთელდეს, მაგრამ ჩვენ ვეხმარებით, რომ შურისგანდეს თავის მდგომარეობას. არიან ისეთი პაციენტებიც, რომლებიც სრულფასოვნად ვერ უბრუნდებიან პირვანდელ მდგომარეობას, დეფექტი რჩებათ და ამით უნდა იცხოვრონ. თუმცა, მათ უკვე იცინ ამ დეფექტის მართვა.

— როგორ ხედავთ ნეიროფსიქოლოგიის პერსპექტივას?

— ნეიროფსიქოლოგიას საკმაოდ დიდი პერსპექტივა აქვს და დასავლეთში ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული და ძვირადღირებული დარგია. ამ მიმართულების სპეციალისტების მომზადება ძვირი ჯდება: ისინი ისევე ემზადებიან, როგორც ექიმები — უნდა გაიარონ პრაქტიკა, რეზიდენტურა, შესაბამისად, მათი მომსახურებაც არის ძვირადღირებული. თუმცა, დასავლეთისგან განსხვავებით, ჩვენთან ეს ფასები განსხვავებულია და ყოფილა შემთხვევები, როდესაც უცხოეთიდან ჩამოსულან პაციენტები, რადგან მათთვის ჩვენთან მკურნალობა მნიშვნელოვნად იაფია.

რაც შეეხება კადრების და სპეციალისტების მომზადებას, 1998 წლიდან მაქვს სამაგისტრო პროგრამა თსუ-ში და ისიც უნდა ვთქვა, რომ ამ პროგრამადამთავრებულ კადრებზე არის სერიოზული „ნადირობა“. ამ პერიოდის განმავლობაში 40 სპეციალისტი მომზადდა, თუმცა, ბოლო ორი წელია, გადატვირთულობის გამო, აღარ გამოიკეთებია სამაგისტრო პროგრამა, მაგრამ, ვაპირებ, რომ ამ სასწავლო წლიდან კვლავ აღვადგინო. ძალიან მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე წელს ახალი — ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი შეიქმნება. უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის ფაკულტეტი ყოველთვის არსებობდა და ამდენად, ახალი ადმინისტრაციისა და რექტორის ეს ინიციატივა ძალიან კარგია როგორც ქვეყნისთვის, ისე ჩვენი სფეროსა და განათლებისთვის.

მომამზადა ლელა კურდელაშვილი

უნივერსიტეტი

ის, რაც გვაბონებს ბრიგოლ ფერაძეს



„ბრიგოლ ფერაძე მშობლიურ უნივერსიტეტს დაუბრუნდა“, — მრავალჯერ ითქვა ეს სიტყვები 13 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წმინდა მღვდელმონაქმე არქიმანდრიტის ბრიგოლ ფერაძის 115-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, რომელსაც საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია მეორე, თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, პოლონეთის ელჩი საქართველოში ანჟეი ჩიეშკოვსკი, ქართველი და უცხოელი სტუმრები დაესწრნენ.

ღონისძიების დაწყებამდე, წმიდა დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესიაში გაიმართა სავედრებელი პარაკლისი, რის შემდეგაც უნივერსიტეტის პირველი კორპუსის საექტო დარბაზის ფოიეში გაიხსნა ბრიგოლ ფერაძის მემორიალური დაფა, გაიმართა ილია ფერაძის ვიდუფილის — „ის, რაც გვაგონებს ბრიგოლ ფერაძეს“ პრემიერა, გამოიფინა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივებში დაცული ივანე ჯავახიშვილის, კორნელი კეკელიძის და ექვთიმე თაყაიშვილისადმი მიხურული ბრიგოლ ფერაძის წერილები, თსუ-ის ემიგრაციის მუზეუმში დაცული წმინდა ბრიგოლ ფერაძის სამშობლოსა და ემიგრაციაში ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი იშვიათი ფოტოები, ხელნაწერები და ბეჭდური მასალა.

„ყოველი ადამიანის ცხოვრება განსაცდელი და გამოცდაა. მამა ბრიგოლ ფერაძემ ღირსეულად შეძლო ამ გამოცდის ჩაბარება. საქართველოს პატრიარქის ეფრემ მეორეს სანერ მაგიდაზე ედო არქიმანდრიტ ბრიგოლ ფერაძის სურათი. იგი საოცარ ამბებს გვიყვებოდა მის შესახებ. წლების მანძილზე მუდამ იდგა ბრიგოლ ფერაძის კანონიზების საკითხი და ეს დღევ დადგა, როცა საქართველოს წმიდა სინოდმა ბრიგოლ ფერაძე აღიარა წმინდანად. ბედნიერი ვარ, რომ ვიმყოფები სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ მნიშვნელოვან დღეს“, — განაცხადა სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა ილია მეორემ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წმიდა მღვდელმონაქმე არქიმანდრიტის ბრიგოლ ფერაძის მემორიალური დაფის გახსნის ცერემონიაზე.

უნივერსიტეტში წმინდანის „დაბრუნების“ მნიშვნელობაზე ისაუბრეს თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ, ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორმა დავით ყოლბაიამ, ბრიგოლ ფერაძის შთამომავლებმა ილია და რომანოზ ფერაძეებმა.

წმიდა მღვდელმონაქმე არქიმანდრიტი ბრიგოლ ფერაძე 1918-1921 თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე სწავლობდა. მასზე დიდი ამაგი აქვს ცნობილ მეცნიერს, აკადემიკოს კორნელი კეკელიძეს. სასულიერო აკადემიის რექტორობისას მან სრულიად ახალგაზრდა ბრიგოლს მიანიჭა მეტეხის პლატოზე საშენებელი წმიდა აბოს სამლოცველოს ფონდის ხელმძღვანელობა. მისივე რჩევით, 1921 წელს, საქართველოში საბჭოთა არმიის შემოჭრისას ბრიგოლი სოფელ მანავში ნავიდა მასწავლებლად. კორნელი კეკელიძის, საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ამბროსი ხელაიას და მიტროპოლიტ ლეონიდეს დახმარებით, ასევე გამოჩენილ გერმანელი ქართველოლოგის არტურ ლაისტის სარეკომენდაციო წერილით და გელათის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით, 21 წლის ბრიგოლ ფერაძე გერმანიაში თეოლოგიური ცოდნის გასაღრმავებლად გაემგზავრა.

21 წლის ბრიგოლ ფერაძემ საქართველო დატოვა და შემდგომი 21 წელი ემიგრაციაში გაატარა. ევროპის ცნობილი ორიენტალისტი ქართული ეკლესიის ისტორიაზე ლექციებს კითხულობდა ევროპის ნამყვან უნივერსიტეტებში. იყო ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი, ფლობდა 16 ენას. 1931 წელს პარიზის მრავალრიცხოვანი ქართული სათვისტომოს თხოვნით ბრიგოლ ფერაძე ბერად აღიკვეცა, ამავე პერიოდში მან დააარსა ევროპაში პირველი ქართული მართლმადიდებლური წმიდა ნინოს ეკლესია და მისი



მოძღვარი გახდა. 1934 წელს იგი შეამკეს მიტრით.

მიუხედავად არაერთი მცდელობისა, კომუნისტურმა მთავრობამ არ მისცა სამშობლოში დაბრუნების უფლება. იგი ოცნებობდა სამშობლოზე და მშობლიურ უნივერსიტეტში მოღვაწეობაზე. ამის შესახებ ბრიგოლ ფერაძე არაერთგზის წერდა უნივერსიტეტის რექტორს ივანე ჯავახიშვილს, მის პუდაგოგს კორნელი კეკელიძეს და ორჯერ მიმართა იოსებ სტალინსაც კი.

სიცოცხლის ბოლო წლები ბრიგოლ ფერაძემ პოლონეთში, მის მეორე სამშობლოში გაატარა. ფაშისტური გერმანიის პოლონეთში შეჭრის შემდეგ, მან არ დატოვა ვარშავა. ფაშისტებმა მამა ბრიგოლი დაიჭირეს და მოათავსეს ოსვენციმის ტყვეთა საკონცენტრაციო ბანაკში. 1942 წლის 6 დეკემბერს 45 წლის მამა ბრიგოლი ოსვენციმის ტყვეთა საკონცენტრაციო ბანაკში მონამეობრივი სიკვდილით აღესრულა. იგი ბანაკში მყოფი მრავალშვილიანი, სიკვდილმისჯილი მამის ნაცლად შევიდა გაზის კამერაში და ასე დაასრულა თავისი სიცოცხლე.

1995 წლის 17 სექტემბერს საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდმა არქიმანდრიტი ბრიგოლ ფერაძე წმინდანად შერაცხა. მისი კანონიზება იმ წელსვე ცნო პოლონეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამაც.

როგორც ღონისძიებაზე თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ აღნიშნა, წმინდა მონაქმე მამა ბრიგოლ ფერაძე არის განსაკუთრებული მოვლენა საქართველოსთვის, ქართული ეკლესიისა და უნივერსიტეტისთვის.

„უნივერსიტეტში გაიხსნა მისი გამოვლიანი დაფა და პრაქტიკულად გადმოფურცლა კიდევ ერთი გვერდი ჩვენი უნივერსიტეტისა და ქვეყნის ისტორიაში. იგი პირველი კოპორტის სტუდენტი იყო უნივერსიტეტში და ჩვენითვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ დაფასებული იყოს ყველა ჩვენი პროფესორი თუ სტუდენტი, რომელ-

თაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ჩვენი ქვეყნის, ეკლესიის, მომავალი თაობების აღზრდაში. დღევანდელი ღონისძიება არის წმიდა ბრიგოლ ფერაძის უნივერსიტეტში სიმბოლური დაბრუნება“, — განაცხადა ლადო პაპავამ.

„ბრიგოლ ფერაძე წარმოგვიდგება მიხეილ თამარაშვილის სულიერ შვილად, არა მარტო თავგადაკლული ღვაწლით, არამედ ტრაგიკული და შეროიკული აღსასრულითა. დღეს, რაც უნივერსიტეტში ხდება, ძალიან კარგი დასასწავლია იმისა, რაც მომავალში უნდა გაგრძელდეს“, — აღნიშნა როსტომ ჩხეიძემ.

„ეს ღონისძიება კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ საქართველოსა და პოლონეთის შორის საუკუნეების განმავლობაში ძალიან მეგობრული და მჭიდრო ურთიერთობა არსებობდა. წმიდა ბრიგოლი ამ ურთიერთობის ნათელი სიმბოლოა. ამავე დროს, იგი ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა როგორც ვარშავის, ასევე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის. მისი სამეცნიერო ნაშრომები ამის დასტურია“, — აღნიშნა პოლონეთის ელჩმა საქართველოში ანჟეი ჩიეშკოვსკიმ.

წმინდა ბრიგოლ ფერაძის მემორიალური დაფის გახსნის ცერემონიაზე თსუ-ის რექტორმა ვლადიმერ პაპავამ ვარშავაში წმიდა ბრიგოლ ფერაძის ეკლესიის მოძღვარს ჰენრიკ პაპროცკის და ვარშავის უნივერსიტეტის კავკასიოლოგიური სემინარის ხელმძღვანელს დავით ყოლბაიას თსუ-ის საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებაში შეტანილი წვლილისათვის უნივერსიტეტის მედელი გადასცა.

დავით ყოლბაიას პათოსი დამსწრე საზოგადოებამ გაიზიარა: „ეკლესიის ვალია — ახსოვდეს თავისი წმინდანები, უნივერსიტეტის ვალია — ახსოვდეს თავისი სტუდენტები! დღეს წმიდა ბრიგოლ ფერაძე მშობლიურ კედლებს დაუბრუნდა“.

მომამზადა შურისია ბაროშვილი



ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი

თამარ ღაღინაძე

ეკონომიკური თეორიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ბიბლიოთეკას კიდევ ერთი საინტერესო ნიგნი — „ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი“ შეემატა, რომლის ავტორია თსუ-ის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი რამაზ აბესაძე.

ნიგნი განხილულია ეკონომიკური განვითარებისა და ეკონომიკური რეგრესიის თეორიული და გამოყენებითი ხასიათის საკითხები და საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ მასში პირველად განხილულია ეკონომიკური რეგრესიის საკითხები, თუ რა შეიძლება მოჰყვეს საბაზრო პრინციპებიდან გადახვევას, ან საბაზრო ჩავარდნების არა დროულ გათვალისწინებას. მონოგრაფიაში ეკონომიკური განვითარების ფაქტორების, პრობლემების საინტერესო და ღრმა ანალიზს გაეცნობით.

ნიგნი განხილული საკითხების შესახებ გვესაუბრება მონოგრაფიის ავტორი, პროფესორი რამაზ აბესაძე.

— წარსულში ეკონომიკური განვითარების თეორიული პრობლემების კვლევას ნაკლები ყურადღება ეთმობოდა. ძირითადი აქცენტი ეკონომიკური ზრდის თემატიკაზე იყო გადატანილი. ეკონომიკური ლიტერატურა აღნიშნულ პრობლემებზე საქართველოში თითქმის არ არსებობდა (თუ არ ჩათვლით გამოყენებითი ხასიათის ნაშრომებს, განსაკუთრე-

ბით, პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრობლემატიკაზე, რასაც ქართველ მეცნიერ ეკონომისტთა მრავალი გამოკვლევა ეძღვნება). ამ მიმართულებით აქტიური მუშაობა დაიწყო პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში. შედეგად, 2004 წელს გამოვიდა კოლექტიური მონოგრაფია, ხოლო შემდგომ წლებში — არა ერთი ნაშრომი ზემოაღნიშნულ პრობლემატიკაზე. ნინამდე ბარე ნიგნს სწორედ ავტორის მიერ წლების განმავლობაში შესრულებული ნაშრომები და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განუვლი პედაგოგიური საქმიანობა უდევს საფუძვლად.

— ნიგნი ეხება ეკონომიკური ზრდისა და ეკონომიკური განვითარების საკითხებსაც, რა განსხვავებაა ეკონომიკურ ზრდასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის?

— ეკონომიკური ზრდა ასახავს ეკონომიკის რაოდენობრივ, ხოლო ეკონომიკური განვითარება მის თვისებრივ მხარეს. სწორედ ეკონომიკური განვითარება განაპირობებს გრძელვადიან პერიოდში


ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებს.

ნიგნი მონოგრაფიული ხასიათის სახელმძღვანელოა და გა-

ბელში იხსნალება, მაგრამ უმეტესობა სახელმძღვანელოებისა (მაგალითად, იცხაველ . თოდარო, *Stephen C. Smith. Economic Development* (11th Edition), 2013.) ყურადღებას მხოლოდ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაზე ამახვილებს, რაც, ჩვენი აზრით, არასწორია, ვინაიდან ეკონომიკურ განვითარებას ადგილი აქვს არა მხოლოდ განვითარებადი ქვეყნებში, არამედ ნებისმიერ ეკონომიკურ სისტემაში. აქ ერთმანეთისგან მხოლოდ ეკონომიკური განვითარების მიზნები და ამოცანები განსხვავდება. ასეთი მეთოდოლოგიური მიდგომა განსხვავდება ამ ნიგნს სხვა ნიგნებისაგან, ამდენად მასში ასახული საკითხები და მათი გადმოცემის შინაარსიც მნიშვნელოვანწილად განსხვავებულია საზღვარგარეთ გამოცემული ანალოგიური ნაშრომებისაგან.

— ნიგნი განხილულია ეკონომიკური რეგრესიის საკითხებიც, რა მოვლენაა ეკონომიკური რეგრესი და რატომ აისახა იგი თქვენს ნაშრომში?

— თუ ეკონომიკური განვითარება ნიშნავს ეკონომიკის თვისებრივად ახალ უფრო სრულყოფილ მდგომარეობაში გადასვლას, ეკონომიკური რეგრესი ნიშნავს მისი უფრო დაბალი მდგომარეობაში გადასვლას.



მოყენება უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ დისციპლინების — „ეკონომიკური განვითარებისა“ და „ეკონომიკური განვითარების თეორიის“ შესწავლის დროს.

ეს საგნები მსოფლიოს თითქმის ყველა ნამყვან უმაღლეს სასწავლებელში

გახსენება

გერმანისტთა კვლევითი თაობის ერთ-ერთი უსანნიშნავი წარმომადგენელი

არიან ადამიანები, რომლებიც განსაკუთრებული, მათთვის ბუნებით მინიჭებული კეთილშობილების წყალობით სხვათა გულის ნაწილად იქცევიან, რომელთა წასვლაც, თუნდაც მხოლოდ ასაკში, გულისტკივილსა და სინანულს იწვევს. თუნდაც იმის სინანულს, რომ სიცოცხლეში ისინი არაჩვეულებრივი მოკრძალებულობისა და უპრეტენზიოების გამო საზოგადოებისგან ისეთ ყურადღებას ვერ ღებულობდნენ, როგორც თავიანთი თავდადებული და უმნიშვნელო ცხოვრებითა და მოღვაწეობით იმსახურებდნენ.

ასეთი იყო გერმანისტთა ძველი თაობის ერთ-ერთი უსანნიშნავი წარმომადგენელი ანასტასია ლაშქარაძე. იგი ამა წლის 31 აგვისტოს 91 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ანასტასია ლაშქარაძე ცნობილი გერმანისტი, გერმანული კლასიკური ლიტერატურის მკვლევარის, გოეთეს საზოგადოების საქართველოს განყოფილების პრეზიდენტის (1975-2000წ.) პროფ. დავით ლაშქარაძის მეუღლე იყო. მოსკოვის უცხო ენათა (მოგვიანებით მორის ტორენის) სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტი იყო, როდესაც მან, 1938 წელს დახვედრილი, ყოფილი ფაბრიკანტის შვილია —



ანასტასია (ტასინკა) გოლცევაძე თავისი მომავალი მეუღლე დავითი, მოსკოვის დიპლომატიური სკოლის ერთ-ერთი პირველი კურსდამთავრებული გამოსაშვებ საღამოზე გაიცნო. იგი მოკლე ხანში ახალგაზრდა ქართველ დიპლომატს საქართველოში გამოჰყვა და ნახევარ საუკუნეზე მეტხანს ერთგულ მეუღლეობას უწევდა. მეგობრები იხსენებდნენ „მაჯისისმსხო ნანწავიან“ ახალგაზრდა, მშვენიერ ტასინკა ლაშქარაძეს, რომელიც, უკვე ორი შვილის დედა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპი-

რანტი გახდა და დისერტაციაც დაიცვა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის კათედრას მისთვის ჩვეული ერთგულებითა და სიყვარულით ემსახურა და თითქოს შეეზარდა, ისევე როგორც საქართველოს, თავის ქვეყანას, რომლის ჭირ-ვარამს იგი მთელი გულით იზიარებდა.

ახლაც თვალწინ მიდგას მშვენიერი აღნაგობის, მუდამ მომღიმარე, მშვიდი, სტუდენტებისა და კოლეგების მიმართ მეტად კეთილგანწყობილი და ტოლერანტული ანასტასია ლაშქარაძე, რუსული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელი, რომელმაც გულით შეიყვარა საქართველო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ზუსტად ნახევარი საუკუნე ერთგულად ემსახურა გერმანული ფილოლოგიის კათედრას — თსუ-ის სტუდენტების თაობების — მომავალი გერმანიისთვის აღზრდას. იგი გერმანული ენის ისტორიის სპეციალისტი იყო, რომლის სადისერტაციო თემის ხელმძღვანელი გამოჩენილი მეცნიერი, დუდენის პრემიის ლაურეატი პროფ. შირა გუხმანი გახლდათ.

იმ რთულ პერიოდში, როცა დასავლეთის უნივერსიტეტებში სწავლაზე ფიქრიც კი წარმოუდ-

გენელი იყო, ანასტასია ლაშქარაძე ახალგაზრდა ქართველ მკვლევარებს აკავშირებდა რუსული გერმანისტიკის ისეთ მეცნიერებთან, რომელთა სახელების ნინამე დღესაც ქედს იხრიან ცნობილი გერმანელი მეცნიერები.

თავისი ქალბატონ ანასტასიას ორმოცდათამდე სამეცნიერო სტატია აქვს გამოქვეყნებული და ასევე გერმანული ენის რამდენიმე სახელმძღვანელო თანავტორებთან ერთად, რომლებთანაც იგი მრავალი წლის განმავლობაში თანამშრომლობდა და მეგობრობდა.

ლაშქარაძეების ოჯახს ფართო სამეგობრო წრე ჰყავდა, რომელიც მოიცავდა ქართველ, რუს და გერმანულ მეცნიერებს. მათ შორის იყო გოეთეს საზოგადოების საპატიო პრეზიდენტი, პროფესორი ვერნერ კელერი და მისი მეუღლე მეტტილდი, რომლებიც ქალბატონ ანასტასიას სიცოცხლის ბოლო წუთებამდე მხარში ედგნენ. სწორედ დავით და ანასტასია ლაშქარაძეების ინიციატივით დაიწყო კელერების ოჯახში ავადსახსენებელ 90-იან წლებში ქველმოქმედება — მიუსაფარ ბავშვთა სახლებისა და მოხუცთა თავშესაფრების დახმარების კეთილშობილური საქმე, რასაც გერმანული მეგობრები დღესაც აგრძელებენ.

ნომიკური რეგრესი ნიშნავს პირით - ეკონომიკის გადასვლას თვისებრივად უარეს მდგომარეობაში.

ეკონომიკური რეგრესიის თეორიული პრობლემები ნაშრომში (საერთოდ, ეკონომიკურ სამეცნიერო ლიტერატურაში) პირველად განხილულია. ეს განაპირობა იმან, რომ ყურადღება გასამახვილებელია იმ შედეგებზე, რაც შეიძლება მოჰყვეს ეკონომიკის თვისებრივად უარეს მდგომარეობაში გადასვლას, ანუ საბაზრო პრინციპებიდან გადახვევას ან საბაზრო ჩავარდნების არა დროულ გათვალისწინებას. ეკონომიკაში, განვითარების პროცესებთან ერთად, ადგილი აქვს ასევე ეკონომიკური რეგრესიის პროცესებსაც. ამდენად, ეკონომიკური რეგრესიის თეორია ეკონომიკური მეცნიერების შესწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო უნდა გახდეს. მეცნიერებასა და პრაქტიკაში „ეკონომიკური რეგრესიის“ ტერმინის შემოტანა ხელს შეუწყობს ამ პრობლემაზე მეცნიერებისა და მთავრობის მხრიდან მეტი ყურადღების გამოჩენას, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის, ვინაიდან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეკონომიკის ტრანსფორმაციის დროს დაშვებულია მრავალი შეცდომა, რის გამოც სრულყოფილ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ვერ მოხერხდა. რეფორმების ასე გაგრძელება სასურველ შედეგს ვერ მოიტანს. მთავარი ყურადღება ეკონომიკური განვითარებისა და რეგრესიის პრობლემების გადარწმუნებას უნდა მიექცეს.

ქალბატონი ანასტასია იყო უსანნიშნავი ქართული ოჯახის დიდი ბებია, იგი ექვს შვილთაშვილს მოესწრო. მას ყავდა ორი შვილი — გიგა, ბოკიბერნეტიკოსი, რომელიც დელფინების აკუსტიკურ პრობლემებზე სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა და სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა. ამ უბედურების გადატანა ქალბატონ ანასტასიას მისი ქალიშვილის მარიტას შვილებმა და შვილიშვილებმა შეაძლებინეს. ქალბატონი ანასტასია გარდაიცვალა ისეთ ღირსეულ და ზრუნვით აღსავსე ოჯახურ გარემოში, ისეთ ყურადღებასა და სიყვარულში, როგორც იმსახურებდა.

ქალბატონი ანასტასიას ნათელი ხსოვნა მუდამ იქნება მისი ახლობლების, კოლეგებისა და ყველა იმ კურსდამთავრებულის გულში, რომელთაც იგი ცოდნასა და სიყვარულს უშურველად უწავნილებდა.

ლალი ქიქვა-ხუნდაძე, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასავლეთევროპული ფილოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის გერმანული ფილოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი



როგორ აპირებს ნდობის გამართლებას?



მისთვის უჩვეულო იყო: „როდესაც ამდენ სტუდენტში მაინცდამაინც შენ გამოგარჩევენ, მართლაც განსაკუთრებული შეგრძნებაა. ჯილდო ჩემთვის თვითმიზანი არ არის, მაგრამ დიდი სტიმულია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ნდობის გამართლება იქნება ჩემ მიერ გადადგმული შემდგომი ნაბიჯები სწავლაში“.

მან უკვე ბევრჯერ დაუმტკიცა გარეშემყოფთ და, პირველ რიგში, საკუთარ თავს, რომ გადაულახავი წინააღმდეგობა არ არსებობს, მიზნის მისაღწევად კი, მისი აზრით, არჩეული პროფესიის მიმართ სიყვარულიც საკმარისია.

ანამ ერთი წელი ბალტიისპირეთის ერთერთ უძველეს, ვილნიუსის უნივერსიტეტში ისწავლა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში. იქ მოსახვედრადაც კონკურსი გაიარა და, რა თქმა უნდა, გაიმარჯვა. ვილნიუსიდან იგი „ზელდამშენებელი“ დაბრუნდა — 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში შევიდა საგანში მან უმაღლესი შეფასება — 100 ქულა დაიმსახურა. ამ საგნებიდან მისთვის ყველაზე საინტერესო იყო „ადამიანის უფლებები ევროპაში“, რადგან მომავალში სწორედ ამ კუთხით აპირებს სწავლისა და მუშაობის გაგრძელებას.

„ჩემი აზრით, დღეს აქტუალურია ადამიანის უფლებების დაცვა, განსაკუთრებით კი საქართველოში. ყველაფერს ვაგაკეთებ, რომ ამ სფეროში მაქსიმალური ცოდნა შევიძინო და შემდეგ პრაქტიკაში განვახორციელო. ამისთვის საჭიროა, თავად ვიყო ძლიერი და ცოდნით „შეიარაღებული“, — ამბობს რექტორის სტიპენდიატი.

ანის თქმით, პროფესიის არჩევასა და მის საქმეში მისი „უნივერსიტეტი“ მშობლები არ ჩარეულან და გადამწყვეტილება თავად მიიღო. დედა — დალი კანდელაკი

თსუ-ის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელია, მამა — ივანე ნაჩხატაშვილი — იურისტი. „ბავშვობიდან ვხედავდი, როგორ თავდაუზოგავად შრომობდნენ ჩემი მშობლები, მათი ცხოვრება ჩემთვის მაგალითია, თუ როგორ უნდა დაიხარჯო ბოლომდე საყვარელი საქმის კეთებისას“.

იგი თვლის, რომ მიზანდასახულ ადამიანს, პირველ რიგში, საჭირო დროსა და საჭირო ადგილზე მოხვედრის და ინფორმაციის მოძიების უნარი უნდა ჰქონდეს. მისი აქტიურობა მხოლოდ სწავ-

ლით არ შემოიფარგლება: მან წარმატებით გაიარა სტაჟირება დიასპორას საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში, რომელიც სპეციალურად უცხოეთში მყოფი ქართველი სტუდენტებისთვის იყო განკუთვნილი. გარდა ამისა, მონაწილეობა მიიღო შავი ზღვის ახალგაზრდა დიპლომატთა საზაფხულო სკოლაში, რომელიც თსუ-ის თვითმართველობის პროექტის ფარგლებში გაიმართა ჩაქვში.

თავისუფალ დროს ანი ბევრს კითხულობს, მისი საყვარელი მწერალი სელ-

ინჯერია. უსმენს მუსიკას და მეგობრებთან ერთობა. კარგად ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს, ახლა უნდა სკოლაში ნასწავლი გერმანულიც გაიხსენოს. სწავლის გაგრძელებას უცხოეთში გეგმავს. მაგისტრატურისთვის მომზადება, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ დიდი დრო აქვს, უკვე დაიწყო.

ანის შორსმომავალი გეგმები აქვს, ის ყველაფერს აკეთებს, რომ მიზანს დროზე ადრე მიუახლოვდეს.

მოამზადა შურთინა ბაროშვილმა




სასამოვნო მოულოდნელობით დაიწყო ანი ნაჩხატაშვილისთვის ახალი სასწავლო წელი — საზეიმო ცერემონიაზე იგი უამრავ სტუდენტთან საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ დაასახელეს და რექტორის სტიპენდია მიანიჭეს.

ანის სიხარული მოულოდნელი იყო, მაგრამ შედეგი — ლოგიკური. მან 2011 წელს ჯერ ერთიანი ეროვნული გამოცდები წარმატებით ჩააბარა, თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე 100%-იანი გრანტით მოხვდა, შემდეგ კი მაღალი აკადემიური მოსწრებით ლიდერობდა თანატოლებს შორის. თუმცა მაინც, იმის შეგრძნება, რომ რექტორის რჩეული გახდა,

გადაცემა ყველა უნივერსიტეტისთვის

ცნობისთვის



თსუ-ის ვებ-გვერდი TSU.EDU.GE მარჯვენა ქვედა კუთხეში დაემატა უნივერსიტეტის გადაცემების ვიდეოჩანაწერების გვერდის ალმენიშნული პიქტოგრამა. ამ ღილაკზე ხელის დაჭერით

თქვენ შეგიძლიათ უყუროთ უნივერსიტეტის გადაცემებს

უყურეთ შაობას, 27 სექტემბერს, 17 საათზე საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის ეთერში გადაცემას „უნივერსიტეტი“



მოგვწერეთ:
facebook.com
Tsu/თსუ გადაცემა – უნივერსიტეტი

მთავარი რედაქტორი: **ნინო კაკულია**
 მთავარი სამცხლისტი: **მაია ტორაძე**
 ტექნიკური რედაქტორი: **მანანა ჯურხაძე**
 ფოტოკორესპონდენტი: **ანა ბოლქვაძე**
 კომპ. უზრუნველყოფა: **ზაზა გულაშვილი**

რედაქციის მმართველი: **ნოსტალიკოზი**
 რისმაგ გორდეზიანი, იაკო კაჭკაჭიშვილი, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, მანანა შამილიშვილი, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, მორის შალიკაშვილი, ნინო ჩიხლაძე, დიანა ძიძიგური, არსენ გვენეტაძე, პაატა ტურავა

მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზ. 11* (თსუ-ის მე-3 კორპუსი) tsunewspaper@tsu.ge 2 22 36 62